# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან

www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

№9 (9841) 2025 წლის 27 იანვარი, ორშაბათი.

ფასი 1 ლარი


# რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს...



2–3

საააკაშვილის ხელისუფლებას და ჩვენს დასავლელ „მეგობრებს“ სჭირდებოდათ არა განათლებული, საღად და კრიტიკულად მოაზროვნე ქართველი საზოგადოება, არამედ სააკაშვილისა და დასავლეთის ხელებსა და თვალებში შემყურე დამჯერი, უბირი, უვიცი ვიგინდარების ბრბო—

**კოლექტიური დათო დოიაშვილი.**

## შეძლებს თუ არა ევროპა ტრამპის მოთვინიერებას?!



5



ნუ შეგვჭამე, ქალოოო!

6

## საქართველოს „პრეზიდენტის“ თხოვნა დასავლეთს „შეაჩერე რუსეთი“

აშშ-ის გაზეთ „ქრისჩენ საიენს მონითორში“ (The Christian Science Monitor) გამოქვეყნებულია სტატია სათაურით **„საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის თხოვნა დასავლეთს: „შეაჩერე რუსეთი“** (ავტორი – **ჰოვარდ ლაფრანჩი**).

„სალომე ზურაბიშვილი სარგებლობს დონალდ ტრამპის ლოზუნგით „ამერიკა უპირველეს ყოვლისა“ და ვაშინგტონს რუსეთის შეჩერების თხოვნით მიმართავს“, – ნათქვამია პუბლიკაციაში.

## ვინ არის საქართველოში დაკავებული ადინა სტოიანი?




8



## გაერო ერთმნიშვნელოვნად გვაღიარებს

United Nations

**გაეროს გენერალური მდივანი ანტონიუ გუტერეში ირაკლი კობახიძეს პრემიერ-მინისტრად დანიშვნას ულოცავს.**

წერილში აღნიშნულია, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია მოუთმენლად ელის საქართველოს მთავრობასთან თანამშრომლობის გაღრმავებას 2030 წლისთვის მდგრადი განვითარების დღის წესრიგისა და მომავლის პაქტის მიზნების მიღწევაში.

**„მინდა, მოგილოცოთ საქართველოს პრემიერ-მინისტრად ხელახლა დანიშვნა. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია მოუთმენლად ელის საქართველოს მთავრობასთან თანამშრომლობის გაღრმავებას 2030 წლისთვის მდგრადი განვითარების დღის წესრიგისა და მომავლის პაქტის მიზნების მიღწევაში. რეგიონული მშვიდობისა და უსაფრთხოების განმტკიცება რჩება პრიორიტეტად, განსაკუთრებით გაეროს მხარდაჭერით ჟენევის საერთაშორისო დისკუსიებისა და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დახმარებისთვის“, – ნათქვამი წერილში.**

ანტონიუ გუტერეში აღნიშნავს, რომ საქართველოს მთავრობასა და ხალხს შეუძლია, გაეროსა და საქართველოს თემატიკაზე მომუშავე გუნდის მუდმივი მხარდაჭერის იმედი ჰქონდეს.

## გაეროს გენერალური მდივანი ანტონიო გუტერეში მიხეილ ყაველაშვილს საქართველოს პრეზიდენტობას ულოცავს

**„თქვენო აღმატებულებავ, მინდა, მოგილოცოთ საქართველოს პრეზიდენტის თანამდებობის დაკავება.**

**გაერთიანებული ერების ღირებული პარტნიორია საქართველო და მოუთმენლად ველოდები ჩვენი თანამშრომლობის გაღრმავებას საერთო მიზნების მისაღწევად. ერთად შეგვიძლია, გავაძლიეროთ 2030 წლის დღის წესრიგში და მომავლის პაქტში ასახული პრინციპები და იმავდროულად, ვიმუშაოთ დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებაზე, გენდერული თანასწორობის და ინკლუზიურობის ხელშეწყობაზე, ადამიანის უფლებების პატივისცემაზე. ვემხრობი ამ მიზნებისადმი ერთგულების განახლების იდეას, გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და სხვა პარტნიორების მხარდაჭერით.**

წარმატებებს გისურვებთ თქვენი მოვალეობების შესრულებაში! თქვენო აღმატებულებავ, გთხოვთ, მიიღოთ თქვენდამი ჩემი უდიდესი პატივისცემის დასტური", – ნათქვამია ანტონიო გუტერეშის მილოცვაში.



# რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს...

**არა მგონია, საქართველოს პრემიერ მინისტრ ირაკლი კობახიძის ეს ნანატრი განცხადება ეროვნული ქუჩური პოლიტიკ-ის ორი თვის იუბილეს უკავშირდებოდეს –საქართველოს ხელისუფლება უახლოეს მომავალში დაიწყებს ძირეულ რეორგანიზაციას უმაღლესი განათლების სისტემაში.**

**მშვენიერია, დიდებულია, მართლაც ნანატრი გადაწყვეტილებაა, მაგრამ...**

**მაგრამ, არა მარტო ჩემი აზრით, დაგვიანებას რომ თავი დავანებოთ, განათლების სისტემის რეორგანიზაციის დაწყება საჯარო სკოლებიდან, მეტიც, საბავშვო ბაღებიდან აჯობებდა. ალბათ ასეც მოხდება და ოდესმე სრულყოფილ საგანმანათლებლო სისტემასაც ვეღირსებით. თუმცა, იქამდე წინ გრძელი, მოულოდნელი წინააღმდეგობებით აღსავსე სახიფათო გზაა გასავლელი.**

**მალე ალბათ იმასაც შევიტყობთ, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, რას გულისხმობს ტერმინი „რეორგანიზაცია“ - მხოლოდ საკადრო და ადმინისტრაციულ, თუ მთლიანად საგანმანათლებლო სისტემის ძირეულ ცვლილებებს.**

მანამდე კი ისიც გავიხსენოთ, რომ საქართველოში მოქმედი გერმანული საგანმანათლებლო სისტემის (დიახ, რუსეთიდან შემოსული და დანერგილი, მაგრამ სწორედ გერმანული და არა რუსული!) შეუქცევადი ნგრევა ოთხმოციანი წლების მიწურულიდან დაიწყო და მწვერვალს სააკაშვილის ტირანული ხელისუფლებისას მიაღწია. ვფიქრობ, ამ პრობლემის გამოწვლილვით განხილვა საჭირო არ უნდა იყოს: **სააკაშვილის ხელისუფლებას და ჩვენს დასავლელ „მეგობრებს“ სჭირდებოდათ არა განათლებული, საღად და კრიტიკულად მოაზროვნე ქართველი საზოგადოება, არამედ სააკაშვილისა და დასავლეთის ხელებსა და თვალებში შემყურე დამჯერი, უზირი, უვიცი ვიგინდარების ბრბო– კოლექტიური დათო დოიაშვილი.**

მეტიც, განათლებული, საღად და კრიტიკულად მოაზროვნე ქართველი საზოგადოება, მით უფრო, საღად და კრიტიკულად მოაზროვნე ახალგაზრდობა, არც ჩვენს დღევანდელ ევროამერიკელ „მეგობრებს“ სჭირდებათ. რატომ? - მოდი, ვკითხოთ ნებისმიერ ახალგაზრდა მომიტინგეს, რას მოიტანს სახელმწიფო გადატრიალება, ან რატომ გაყალბდა არჩევნები; რა მოხდება ახალ არჩევნებში ოპოზიციის, ან ისევ „ოცნების“ გამარჯვების შემთხვევაში; ვისთვის აპირებს ახალ არჩევნებში ხმის მიცემას და რატომ; რატომ არ ხვდება ოპოზიცია ხელისუფლებას „მრგვალ მაგიდასთან“; რატომ არ შედის პარლამენტში; რატომ ურჩევნია ქუჩა საპარლამენტო ტრიბუნას...

მოდი, ვკითხოთ, ვთქვათ, რუსი ოლიგარქის, კახა ბენდუქიძის დაარსებული „თავისუფალი უნივერსიტეტის“ სტუდენტებს, რა უშლით ხელს სწავლა-განათლების მიღებაში, რა მნიშვნელობა აქვს მათთვის ახალი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნას, რა იციან ბენდუქიძისა და სააკაშვილის როლზე ქართული განათლების სისტემის გარყვნა-განიავებაში...

**იქნებ, ჯავახიშვილის უნივერსიტეტში შეჭრილმა „პატრიოტმა“ ახალგაზრდებმა გვიპასუხონ, რა სიკეთეს მოიტანს უმაღლესი სასწავლებლების ბლოკირება; იციან თუ არა, ვინ არის, ვთქვათ, ოპოზიციის ახალ ლიდერად აღზევებული, ქუჩაში „პროტესტულად“ მოცეკვავე გაბრიყვებული თანამშრომლებით გარშემორტყმული ბატონი დავით დოიაშვილი - მკვლელი, ქურდი, უვიცი, გარყვნილი და გათახსირებული სააკაშვილის მადიდებელი, სახელმწიფოს კუთვნილი და პირადად ბიძინა ივანიშვილის მიერ 15 მილიონ ლარად გარემონტებული, სახელმწიფოსგან ყოველწლიურად 1 800 000 ლარით დაფინანსებული მუსიკალური კომედიის თეატრის დირექტორი...**

სამწუხაროდ, ამ მარტივ კითხვებზე მეტნაკლებად დასაბუთებული პასუხის გამცემის მოძებნა ქუჩაში მოპროტესტე ახალგაზრდებს შორის ერთობ პრობლემატურია. სამაგიეროდ, ბევრია აზრის ამ დონეზე გადმომცემთა რაოდენობა:



**ევროპისაკენ, ანუ ჩვენი ქვეყნის თანამედროვე მსოფლიო ცივილიზაციისაკენ სწრაფვა უნდა ეფუძნებოდეს არა დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს, გერმანიის, საფრანგეთის ან ბალტიისპირეთის ქვეყნების ინტერესებს, არამედ საქართველოს, ქართველი ხალხის კეთილდღეობას.**

**„სახლი მსგავსად იყო დაშლის მდგომარეობის მქონე ქოხის: დანგრეული კედლები, თანამედროვე კომფორტები არ არსებობდა, მასალა ცემენტის და მიწისაგან ერთადერთი ფანჯარა მინიმალურ შუქს უშვებდა, რაც ქმნიდა სულისწრაფვისა და დაბინძურებული გარემოს ატმოსფეროს;“**

**„განხორციელდება მონაცემთა შეგროვება;“**

**„მოვუწოდებ ოპოზიციას, დაიწყოს პოზიციონირება, როგორც არჩეულმა ხელისუფლებამ;“**

**„ივნისში ამხანაგურებისთვის ფანჯარაა დატოვებული, ხოლო სექტემბრიდან მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი იწყება. მეტოქეებზე და კალენდარზე ამაზე აღარ განვმეორდებით;“**

**„პირველ რიგში, ლამის ვეღარ გავიგუდეთ...“**

ბარემ აქვე შევახსენებთ, რომ ჯერ კიდევ 1997 წელს პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის ბრძანებულებით და სახელმწიფო ენის ხელშეწყობის, ქართული სალიტერატურო ენის სიწმინდის დაცვისა და ენის ნორმათა დამკვიდრების მიზნით, შეიქმნა საქართველოს ენის სახელმწიფო პალატა. მის ხელმძღვანელად დაინიშნა ამ საქმის გამოცდილი სპეციალისტი **ლევან ღვინჯილია.** პრეზიდენტს დაქვემდებარებულმა ამ სტრუქტურამ, მხოლოდ შვიდი წელი იარსება. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ენის პალატა ჯერ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაუქვემდებარეს, ხოლო მოგვიანებით, საერთოდ, გააუქმეს. შედეგებს დღეს ვიმკით.

ვწუხვარ, ძალიან ვწუხვარ, რომ ჩვენი დღევანდელობიდან ასეთი და ბევრად უფრო დამაფიქრებელი მაგალითების მოყვანა დაუსრულებლად შეიძლება. ლოგიკურად მივდივართ დასკვნამდე, რომ ასეთია ცოდნის დონე არა მარტო ახალგაზრდობის, არამედ უკვე საშუალო თაობისაც, რომელიც მომავალი თაობისთვის ვერა და ვერ ახერხებს, მაგალითად, ევროპულობის რაობის ახსნას. რომ **ევროპისაკენ, ანუ ჩვენი ქვეყნის თანამედროვე მსოფლიო ცივილიზაციისაკენ სწრაფვა უნდა ეფუძნებოდეს არა დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს, გერმანიის, საფრანგეთის ან ბალტიისპირეთის ქვეყნების ინტერესებს, არამედ საქართველოს, ქართველი ხალხის კეთილდღეობას.**

**არა მარტო დღევანდელმა ქართველმა ახალგაზრდობამ, არამედ საქართველოს მოსახლეობის ერთმა მნიშვნელოვანმა ნაწილმა არ იცის, რომ დღევანდელი დიდი ბრიტანეთის, გერმანიის, საფრანგეთის, ავსტრიის, ჰოლანდიის, ბელგიის, ესპანეთის, პორტუგალიის... კეთილდღეობა ეფუძნება არა მარტო ამ ქვეყნების მოქალაქეთა შრომისმოყვარეობას და მმართველობის პრინციპებს, არამედ გაუგონარ ძალადობასაც სხვა ქვეყნებსა და ხალხებზე.**

შეუძლებელია სიტყვებით გადმოიცეს ის გაუგონარი ძალადობანი, რაც ჩვენთვის ასე სანატრელ ბრიტანელებს, ფრანგებს, ჰოლანდიელებს, ესპანელებს... ჩაუდენიათ აფრიკის, აზიის, ამერიკის კონტინენტებზე მცხოვრები ხალხებისა და ქვეყნების წინააღმდეგ. აღარაფერს ვამბობ „მეგობარ“ გერმანელებზე.

არცთუ შორეული წარსულიდან ორიოდე ძალიან გახმაურებულ, ტრაგიკულ მაგალითს მოვიშველიებ. იმასაც ვიტყვი, რომ ამ თემაზე უკვე კარგა ხანია არც ბრიტანელები საუბრობენ არც გერმანელები, არც იაპონელები და არც ამერიკელები.

***მაშ ასე. 1945 წლის 13-14 თებერვალი. მეორე მსოფლიო ომის დასასრულამდე სამიოდე თვე რჩება. საბჭოთა ჯარები ევროპის გეოგრაფიულ ცენტრს, ბერლინს ძლევამოსილად უახლოვდებიან. ვერმახტის დაცემა, უბრალოდ, დროის ამბავია. მთელი მაშინდელი მსოფლიო გაფაციცებით თვალყურს ადევნებს მოვლენათა განვითარებას.***

***გერმანიისა და ევროპის ერთი ულამაზესი და უძველესი ქალაქი დრეზდენი ფრონტის ხაზიდან შორს, მდინარე ელბაზე მდებარეობს და არავითარი სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა არ გააჩნია. აქ არც სამხედრო შენაერთებია განლაგებული და მის მშვი-***



ულამაზესი დრეზდენი ბრიტანელებმა ნანგრევებად აქციეს. 1945 წ. 13-14 თებერვალი. დაიღუპა 30 ათასი მშვიდობიანი მოქალაქე.



1945 წლის აგვისტო. ჰიროსიმასა და ნაგასაკისგან ამერიკელებმა ქვებისა და ფერფლის გროვა დატოვეს. დაიღუპა 220 ათასზე მეტი ადამიანი.

მარაზმი

საქართველო რესპუბლიკა



**დათო დოიაშვილსაც იქნებ ქუჩაში უაზრო და სამარცხვინო წანწალისგან თავი შეეკავებინა, სპექტაკლები დაედგა და ქართული კულტურის, ქართველი ხალხის წინაშე თავი ამით გამოეჩინა.**

**ვინ იცის, იქნებ ამით რობერტ სტურუას, თემურ ჩხეიძეს ან ელდარ შენგელაიასაც ვინმე ღირსეული მემკვიდრე გამოსჩენოდა.**

*დობიან მოსახლეობას, წესით, არავითარი საფრთხე არ უნდა დაემუქროს. დიდი ბრიტანეთის სამეფო სწორედ ამ ქალაქს იღებს მიზანში. მშვიდობიანი ქალაქის დაბომბვის შედეგები კატასტროფულია – რამდენიმე წუთში ორმაგი საჰაერო დაბომბვის შედეგად მიწასთან გასწორებული და ფერფლად ქცეული ქალაქი, 30 ათასამდე დაღუპული მშვიდობიანი მოქალაქე...*

*1945 წლის აგვისტო. მეორე მსოფლიო ომი უკვე დამთავრებულია. მიმდინარეობს ცალკეული შეტაკებები გერმანიის მოკავშირე იაპონიისა და ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო შენაერთებს შორის. იაპონია შეთავაზებულ უსიტყვო კაპიტულაციაზე დათანხმებას არ ჩქარობს. სწორედ ამ ვითარებაში, ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესი მთავარსარდლობა იღებს გადაწყვეტილებას იაპონიის მშვიდობიანი ქალაქების ატომური იარაღით დაბომბვის თაობაზე. 6 ასვგისტოს იბომბება ქალაქი ჰიროსიმა, ხოლო სამი დღის შემდეგ - ქალაქი ნაგასაკი. დაღუპულთა რაოდენობა მანამდე გაუგონარი და არნახულია - დაახლოებით 220 000 ადამიანი, მათ შორის, აბსოლუტური უმრავლესობა - მშვიდობიანი მოქალაქე. ატომური გამოსხივებით ადამიანთა სიკვდილიანობა 1970 წლამდე გრძელდება...*

***მანამდე, მარტის თვეში ამერიკული ავიაცია ბომბავს იაპონიის დედაქალაქ ტოკიოს, რასაც ასი ათასამდე ადამიანის სიცოცხლე ეწირება, მათ შორისაც აბსოლუტური უმრავლესობა მშვიდობიანი მოსახლეობაა. სულ ამერიკული ავიაცია 60 იაპონური ქალაქს ანადგურებს.***

საგულისხმო და მრავლისმთქმელია მოკლე განცხადება დონალდ ტრამპისა, რომელიც მან ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტად კურთხევისთანავე გააკეთა: **„ამერიკის შეერთებული შტატები მეორე მსოფლიო ომში 1941 წლიდან მონაწილეობდა და მან ამ ომში 400 000 ჯარისკაცი დაკარგა“.**

თუ ისტორიას ვენდობით, აშშ მეორე მსოფლიო ომში მოკავშირეებთან ერთად ოფიციალურად ჩაერთო 1944 წლის ივნისიდან (მას შემდეგ, რაც საბჭოთა ჯარებმა დასავლეთ ევროპის საზღვრები გადალახეს!), ხოლო მთლიანად მეორე მსოფლიო ომის მიმდინარეობისას 131-მილიონიანმა ამ ქვეყანამ (1939 წლის მონაცემებით) დაკარგა 292 000 ჯარისკაცი. მთლიანად საბჭოთა კავშირზე რომ არაფერი ვთქვა (26 მილიონნამდე დაღუპული, მათ შორის, 9 მილიონნამდე სამხედრო პირი) სამმილიონიანი საქართველოდან ამ ჯოჯოხეთურ ომს 200 000 ჯარისკაცი შეეწირა.

მოდი, შევეცადოთ, ავხსნათ, რას ემსახურებოდა ჩვენი „უანგარო მეგობრების“ ეს ერთი შეხედვით უცნაური ქმედებები არცთუ შორეულ წარსულში.

იქნებ ვცდები კიდეც, მაგრამ ვფიქრობ, დიდი ბრიტანეთის მიერ დრეზდენის განადგურებას, ხოლო აშშ-ის მიერ ჰიროსიმასა და ნაგასაკის ბარბაროსულ ატომურ დაბომბვებს საფუძვლად ედო შურისძიება გერმანელთა მიერ ლონდონის დაბომბვებისა და იაპონელთა მიერ 1941 წლის დეკემბერში კუნძულ პერლ-ჰარბორზე დაახლოებით 25-ათასიანი ამერიკული სამხედრო-საზღვაო არმიის განადგურების გამო. რაც მთავარია, ორივე ეს ქმედება ჩადენილი იყო მსოფლიოსა და, განსაკუთრებით, საბჭოთა კავშირის გაფრთხილება-დაშინების მიზნით.

როგორც ამ მოვლენებამდე და მას შემდეგაც ისტორიამ ბევრჯერ დაამტკიცა, **მტერთან ბრძოლა სავსებით შესაძლებელია, „მეგობარი“ კი ბევრად საშიშია.**

რაც შეეხება დონალდ ტრამპს, ცოტა წაიტრაბახა და „მეგობრებს“ ყოველ შემთხვევაში ჰიროსიმა-ნაგასაკიც შეგვახსენა.

სავარაუდოდ, არც ტრამპმა, არც დოიაშვილმა არ იციან და ქართველ ახალგაზრდობას ვერ შეახსენებდნენ ძლევამოსილი დიდი ბრიტანეთის სამეფოს ცინიკურ როლზე საქართველოს რუსეთისგან დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში 1921 წელს. რამე არც სულხან-საბას ევროპულ სამეფოებში დამამცირებელ მოგზაურობაზე ეცოდინებოდათ. არც „პატარა კახის“, დიდი მეფე ერეკლეს წარუმატებელ მცდელობებზე ერთმორწმუნე და მეგობარ ევროპულ ქვეყნებთან საერთო ენის გამონახვისთვის თურქ-სპარსების ლაშქრობებისგან თავდასაცავად...

**დავუბრუნდეთ პრემიერის განცხადებას. ქართული განათლების სისტემა რომ არ განადგურებულიყო, უფრო ზუსტად, ქართული განათლების სისტემა ქართული სახელმწიფოს, ქართველი ახალგაზრდების სამსახურში რომ დარჩენილიყო, დღეს ამ საუბრის წამოწყების აუცილებლობა არ იარსებებდა. მოდური ტერმინოლოგია რომ მოვიშველიოთ, საქართველო დიფ სთეითში, ბნელეთის ქვეყანაში კი არ ჩაიძირებოდა, ხვალინდელი ნათელი ევროპული ცივილიზაციის ღირსეული წევრი იქნებოდა.**

ქართველი ახალგაზრდობაც არქიფო სეთურის სამფლობელოს უპრობლემოდ გაეცლებოდა, ევროკავშირის დროშაში გამოკვანწული ქუჩაში „პოლიხრონიონ, პოლიხრონიონის“ ძახილით საკუთარი ყალბი პატრიოტიზმის დემონსტრირებას შეეშვებოდა და ქვეყანას თანამედროვე ცივილიზაციისაკენ წარუძღვებოდა. ოღონდ არა ბრიტანეთის, გერმანიის, აშშ-ის ან ლიეტუვის, არამედ საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარე და ქართველი ხალხის საკეთილდღეოდ.

**დათო დოიაშვილსაც იქნებ ქუჩაში უაზრო და სამარცხვინო წანწალისგან თავი შეეკავებინა, სპექტაკლები დაედგა და ქართული კულტურის, ქართველი ხალხის წინაშე თავი ამით გამოეჩინა.**

**ვინ იცის, იქნებ ამით რობერტ სტურუას, თემურ ჩხეიძეს ან ელდარ შენგელაიასაც ვინმე ღირსეული მემკვიდრე გამოსჩენოდა.**

ძალიან რთული პრობლემაა, მაგრამ სწორედ ეს უნდა გავაგებინოთ დღევანდელ ახალგაზრდობას. ამაში მსოფლიო ისტორიაც დაგვეხმარება და გრიგოლ ორბელიანიც, **„რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს, წაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმინდასაო,“** რომ წერდა 150 წლის წინათ. ახლა კი ალბათ, ჩვენი დღევანდელობის შემხედვარე, საფლავში ტრიალებს.



**თეიმურაზ ქორიძე**
26. 01. 2025

# მართლა ფურთხის ღირსი ხარ, მოღალატე ოპოზიციავ!

**ვემიჯნები ყოველგვარ ძალადობას, ყველა მხრიდან!**

ბოლო დროს მოუთმენელ დონემდე გახშირდა დაუნდობლობა ერთმანეთის მიმართ. პოლიტიკური შეხედულებიდან გამომდინარე, ქართველი ,ქართველს შეურაცხმყოფელი სიტყვით კი არ მიმართავს და დედისა და ოჯახის შეგინებით კი არ კმაყოფილდება, არამედ სახალხოდ ხელს ურტყამს პოლიციელს. რესტორანში, კორპორატიული შეკრების უფლებას უზღუდავენ მოსამართლეებს, ოჯახის წევრებთან ერთად ვახშმობის საშუალებას არ აძლევენ...

და ამას სჩადიან საქართველოსა და ევროპის „სიყვარულით“.

ეს ყველაფერი ცხოველთა ქმედების ტოლფასია. ფსიქიკური დაქვეითების აშკარა ნიშანი. მაგრამ ვერაფრით ვერ წარმოვიდგენდი, რომ კიდევ უფრო დაეცემოდნენ, პროტესტის გამოხატვის მიზნით რესტორნებისა და კვების ობიექტების მომსახურე პერსონალს მოუწოდებდნენ საკვებში ჩაფურთხებისკენ!..

ყოველთვის მიკვირდა, როგორ შეეძლო აკაკი წერეთელს თავისი სათაყვანებელი საქართველოსთვის ეთქვა: „ფურთხის ღირსი ხარ...“



„დიახ, ფურთხის ღირსი ხარ, საქართველოვ, შენი „ბედნიერი ერით“... „უნჯით, მუნჯით... ყოვლად მთმენი(თ) – ვით ჯორცხენი“!..

ფურთხის ღირსი, ზნეობა და მორალდაქვეითებული პიროვნებები მართლაც გვყოლია საზოგადოებაში.

**ვაშინერს! – სხვა სიტყვა ახლა არ მომდის გონებაში.**

**მინდა თვალი დავხუჭო და სახეზე ხელები ავიფარო.**

მაინც, რა კვებავს თქვენს გაბოროტებას?

სტუმართმოყვარეობით განთქმულ ქვეყანაში, პურ-მარილით, ხალხური პოლიფონიით ცნობილ და თავმომწონე ერში, სადაც ღვთიურ დონეზეა აყვანილი ხაჭაპური, ხინკალი, ჩახოხბილი, ელარჯი... უნდა ჩააფურთხონ?

ფურთხის ღირსია, მართლაც ყველა, ვისაც ამ მარაზმზე რეაგირება არ ჰქონია.

ფურთხის ღირსია ვისაც შეუძლია ამ შეურაცხყოფის ატანა!

მაპატიე, მკითხველო, ასეთი მწარე ტონისთვის. მეც ძალიან მიჭირს... ამ წერილის თითოეული სიტყვის მიღმა, დამიჯერეთ, უდიდესი ტკივილია და გამაოგნებელ რეალობაში მახვილივით გამოკიდებული კითხვა:

ვინღა ვართ და საით მივდივართ?!

როგორც ჩანს, ოპოზიციას იმედი გადაეწურა, რადგან მათ რიგებში გაჩნდნენ სახედაკარგული ადამიანები, რომლებიც უკიდურესი ფორმით არ ერიდებიან სამშობლოს შეურაცხყოფას, მისი სახელისა და ავტორიტეტის შელახვას, ტრადიციებისა და ზნეობის შებილწვას.

მათთვის დასაშვებია სატანური, ფაშისტური, მტრულზე-მტრული ქმედებების მოწოდება, შინ და გარეთ.

როგორც რიგითი მოქალაქე, მოვალედ ვთვლი, რომ საჯაროდ ვთქვა: **საქართველოს სახელმწიფო იმსახურებს ნათელ ევროპულ მომავალს, რომელიც გადის კონსტიტუციის დაცვაზე. და რომლის თანახმად სახელმწიფოს მიზანს წარმოადგენს ევროპასთან ინტეგრაცია.**

ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში ილია ჭავჭავაძე წერდა, რომ ,,ჩვენს ქვეყანას ევროპული გამოცდილება, მეცნიერება და განათლება სჭირდება“.

ჩვენს ქვეყანას სხვა გზა არ ჰქონია, და არც ექნება. ეს არის ჩვენი წინაპრების მიერ არჩეული გზა. ჩვენ ვართ ნაწილი უდიდესი ცივილიზაციისა და კულტურის. აღმოსავლეთით ევროპის კარიბჭე, ჩვენი ვალია, ვიყოთ ევროპის დიდი ოჯახის სრულფასოვანი წევრები.

დიახ, ვალია, ვიყოთ სრულფასოვანი წევრები და არა მონა-მორჩილები. მათი ყოველი კარნახის თუ აკვიატების შემსრულებლები.

ევროკავშირში შესვლა არ უნდა დაემსგავსოს საბჭოთა კავშირში ყოფნას, როცა ყოველგვარი უფლებები შეკვეცილი გვქონდა.

ჩვენ გვაქვს ეროვნული განუმეორებელი სახე, ტრადიციები, ადათი და მისწრაფებები. თუ ესენი არ იქნება გათვალისწინებული და მუდმივი წნეხის ქვეშ ვიქნებით, მაშინ რა ჯანდაბა გვინდა ასეთ ევროპაში?

თუმცა ევროპაში შესვლა – არ შესვლა არ არის დღეს რადიკალური ოპოზიციის ქუჩის პროტესტის მთავარი მიზანი.

ზღვარსგადასული ქმედებების მთავარი მიზანი ხელისუფლების შეცვლაა, რომ გაეხსნათ გზა თავისუფალი პარპაშისა და მოსახლეობის დაჩმორებისკენ, რაც მოიაზრებს შიშის დანერგვას, ბიზნესის ძარცვა-დაყაჩაღებას, მამაკაცების გათხოვებას და ათას სხვა სისაძაგლეს!

აი, ეს გახლავთ ხელჩართული ბრძოლის საბოლოო მიზანი.

ბოლოსა და ბოლოს, უნდა დასრულდეს ანტიეროვნულ-პოლიტიკური დაპირისპირება. ხომ ცხადია, რადიკალური ოპოზიციის ვერაგული ზრახვები ჩაიფუშა. რევოლუციური სცენარით ხელისუფლებაში მოსვლა არ შედგა. ,,მაიდნის“ მოწყობა ვერ მოხერხდა. გაყალბებული არჩევნების მომიზეზებამ კრახი განიცადა.

„ეუთო/ოდირის“ ანგარიშმა და საქართველოს პროკურატურის დასკვნამ ცხადყო ოპოზიციის ცრუ ბრალდებები.

როგორც წინა შვიდ შემთხვევაში, ახლაც რადიკალურ ოპოზიციას საბოლოო ჯამში მოუწევს ქართველი ხალხის უმრავლესობის ნების აღიარება და დემოკრატიულ ჩარჩოებში დაბრუნება.

დასანანია, რომ ამ სამი თვის განმავლობაში ფუჭად დაიხარჯა ხალხის ენერგია და ემოციები, რომელიც ჩვენი ქვეყნის წინსვლას უნდა მოხმარებოდა.



**ბორის დავითაია,**
**სენაკის საპატიო მოქალაქე, სამეგრელოს უხუცესთა საბჭოს წევრი.**



# აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა შეაჩერა საერთაშორისო დახმარების პროგრამები

**აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა მინიმუმ 90 დღით შეაჩერა უცხოეთის სახელმწიფოების დახმარებისთვის განკუთვნილი სახსრების გამოყოფა. ამის შესახებ გამოცემა Politico წერს აშშ-ის სახელმწიფო მდივან მარკო რუბიოს განკარგულებაზე დაყრდნობით.**

გამოცემა აღნიშნავს, რომ დოკუმენტი გამოჩნდა მას შემდეგ, რაც აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა გამოსცა განკარგულება სხვა ქვეყნებისთვის დახმარების ამერიკული პროგრამების სამი თვით შეწყვეტის შესახებ.

სახელმწიფო დეპარტამენტის ერთმა მოქმედმა თანამშრომელმა და ორმა ყოფილმა მოხელემ ჯო ბაიდენის ადმინისტრაციიდან გამოცემას უთხრეს, რომ დახმარება შეუჩერდათ აშშ-ის საკვანძო მნიშვნელობის მოკავშირეებს, როგორებიც არიან უკრაინა, იორდანია და ტაივანი.

შეჩერება არ ეხება ეგვიპტისა და ისრაელის სამხედრო დახმარებას და საგანგებო სასურსათო დახმარების პროგრამებს. 85 დღის შემდეგ რუბიომ ტრამპს უნდა წარუდგინოს ანგარიში იმის შესახებ, თუ რომელი პროგრამები განახლდეს და რომელი – არა.

როგორც „ამერიკის ხმა" იტყობინება წყაროებზე დაყრდნობით, უკრაინის შემთხვევაში შეჩერება ეხება პროგრამას Foreign Military Financing (FMF, „უცხოეთის სამხედრო დაფინანსება"), რომლის ფარგლებშიც სახსრები 2024 წლის მაისამდე დაიხარჯა. „ამერიკის ხმის" კორესპონდენტ ოსტაპ იარიშის თქმით, უკრაინის სამხედრო დახმარება გაგრძელდება პროგრამით Presidential Drawdown Authority (PDA, იარაღის მიწოდება აშშ-ის არმიის მარაგებიდან) და პროგრამით Ukraine Security Assistance Initiative (USAI, „უკრაინის უსაფრთხოების ხელშეწყობის ინიციატივა").

# პენტაგონს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს



**სენატმა, ხმათა მცირე უპირატესობით, პენტაგონის ხელმძღვანელი პოსტზე Fox News-ის ყოფილი წამყვანი, პიტ ჰეგსეტი დაამტკიცა. ინფორმაციას Reuters ავრცელებს.**

გამოცემა აღნიშნავს, რომ ჰეგსეტის კანდიდატურასთან დაკავშირებით დემოკრატებისა და რამდენიმე რესპუბლიკელის მხრიდან მწვავე წინააღმდეგობის შემდეგ ეს დონალდ ტრამპისთვის მნიშვნელოვანი გამარჯვებაა.

ტელეარხ Fox News-ის ყოფილი წამყვანი და არმიის ვეტერანი პენტაგონის მუშაობაში მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანას აპირებს, თუმცა, მისი მუშაობა გაძლიერებული ყურადღების ქვეშ იქნება, არსებობს კითხვები მის კვალიფიკაციასთან დაკავშირებით.

პენტაგონის ბიუჯეტი 1 ტრილიონი დოლარია. ჰეგსეტმა კანონმდებლებს აცნობა, რომ ყველაზე დიდი ჯგუფი, რომელსაც ის მართავდა, 100 ადამიანისგან შედგებოდა, ხოლო ყველაზე დიდი ბიუჯეტი 16 მილიონი დოლარი იყო.

ტრამპმა სენატს ახალი მინისტრების კანდიდატურები დასამტკიცებლად 21 იანვარს წარუდგინა.

# ძალუძს კი პრეზიდენტ ტრამპს ომის შეჩერება უკრაინაში?

## ეს კითხვა ჯერჯერობით პასუხგაუცემელი რჩება

DAILY EXPRESS

ბრიტანულ გაზეთ „დეილი ექსპერესში" (Daily Express) დაბეჭდილია სტატია სათაურით „შეძლებს თუ არა დონალდ ტრამპი ომის შეჩერებას უკრაინაში? ეს კითხვა ჯერჯერობით პასუხგაუცემელი რჩება" (ავტორი – კონორ უილსონი).

გთავაზობთ პუბლიკაციას შემოკლებით:

**დონალდ ტრამპი უკვე სამი დღეა ამერიკის პრეზიდენტია, რაც იმას ნიშნავს უკრაინასთან მიმართებით, რომ თავისი პირველი დაპირების შესრულება მან უკვე ორი დღით დააგვიანა.**



ყველას კარგად გვახსოვს, რომ ბოლო დრომდე დონალდ ტრამპი განუწყვეტლივ იმეორებდა, რომ სწორედ იგი არის ის ერთადერთი ადამიანი მსოფლიოში, რომელსაც რუსეთ-უკრაინის ომის შეწყვეტა სწრაფად შეუძლია – ომისა, რომელმაც ასობით ათასი სიცოცხლე შეიწირა.

რა თქმა უნდა, არავინ არ აღიქვამდა ზუსტი მნიშვნელობით რესპუბლიკური პარტიის კანდიდატის განცხადებებს, რომ იგი 24 საათში დაამთავრებდა სამწლიან ომს, თუმცა, მისი მომხრეების თქმით, მთლიანად ამის გამორიცხვაც არ შეიძლებოდა – იმის გათვალისწინებით, რომ აშშ-ის პრეზიდენტს იურიდიულად და რეალურად უდიდესი გავლენა აქვს და თუ ამას დონალდ ტრამპის ავტორიტეტსაც დავამატებთ, შეიძლებოდა მისი ნათქვამის უდაოდ მიღება.

ჰოდა, 23 იანვარს, დონალდ ტრამპმა ოვალურ კაბინეტში დაბრუნების შემდეგ, რეპორტიორების წინაშე გამოსვლისას, პირადად გააფრთხილა თავისი რუსი კოლეგა ვლადიმერ პუტინი, რომ თუ იგი გარიგებას არ თანხმდება, „ამით რუსეთს დაანგრევს. რუსეთი ძალიან დიდ უბედურებაში ჩავარდება". თავის მხრივ, აშშ-ის პრეზიდენტი მზად არის მოლაპარაკებისათვის, რომლის მსვლელობაში მას შეუძლია მხარეები ერთმანეთთან იძულებით შეარიგოს, სურთ ეს მათ თუ არ სურთ.

საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვების შემდეგ დონალდ ტრამპი აცხადებდა, რომ ვლადიმერ პუტინს ინაუგურაციის შემდეგ შეხვდებოდა, თუმცა ინაუგურაციაც უკან დარჩა, სამიტის კონტურები კი ჯერჯერობით ჰორიზონტზე არ ჩანს.

აშშ-ის 47-ე პრეზიდენტი აცხადებს, რომ ვოლოდიმირ ზელენსკი უკვე მზად არის გარიგების დასადებად. სხვათა შორის, ვლადიმერ პუტინიც იგივეს ამბობს, რომ მოლაპარაკებისთვის მზად არის... მაგრამ თავისი პირობებით."

გაუგებარია, თუ როგორ მოილაპარაკებენ მხარეები, როგორი იქნება ხელშეკრულება იმ დროს, როცა მოსკოვს და კიევს სრულიად კონფრონტაციული და საწინააღმდეგო მოთხოვნები აქვთ.

ამასობაში რუსეთის არმია ნელა, მაგრამ შეუპოვრად წინ მიიწევს დონბასში. რუსი ჯარისკაცები თანდათან არღვევენ უკრაინის თავდაცვას და ახალ ტერიტორიებს – სოფლებს და ქალაქებს იკავებენ.

ვლადიმერ პუტინს ჯერ საქმიანად არ ულაპარაკია დონალდ ტრამპთან, მაგრამ ინაუგურაცია მიულოცა და მზადყოფნა გამოხატა დიალოგის დასაწყებად.

როგორც საერთაშორისო საკითხებში პრეზიდენტის მრჩეველი იური უშაკოვი აცხადებს, კრემლი ელოდება „კონკრეტულ წინადადებებს, რომლებიც რეალური მოლაპარაკების საფუძველი გახდება", თუმცა მან თავი აარიდა დონალდ ტრამპის განცხადების კომენტირებას, რუსეთის სავარაუდო დანგრევის თაობაზე.

„ჩვენ ღია ვართ აშშ-ის ადმინისტრაციასთან სერიოზული დიალოგისათვის უკრაინასთან დაკავშირებულ კონფლიქტში. თუ ვაშინგტონიდან შესაბამის სიგნალებს მივიღებთ, ჩვენ მათ, ასე ვთქვათ, „ავიტაცებთ" და ადეკვატურად ვუპასუხებთ", – განაცხადა იური უშაკოვმა და იქვე დაამატა, რომ კრემლს ჯერჯერობით ასეთი სიგნალები არ მიუღია.

შეძლებს თუ არა დონალდ ტრამპი ომის შეჩერებას უკრაინაში? ეს კითხვა ამ ეტაპზე პასუხგაუცემელი რჩება.

**წყარო: https://www.express.co.uk/news/world/2004184/poll-do-you-think-donald?int_source=nba**

# პუტინი: რუსეთი ღიაა აშშ-თან ერთობლივი მუშაობისთვის

**რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ მოსკოვი თვალს ადევნებს აშშ-ის პრეზიდენტის დონალდ ტრამპის განცხადებებს ერთობლივი მუშაობის მზადყოფნასთან დაკავშირებით და ყოველთვის ღიაა ამისთვის.**



„ჩვენ ვხედავთ (აშშ-ის) ამჟამინდელი პრეზიდენტის განცხადებებს ერთად მუშაობის მზადყოფნასთან დაკავშირებით. ჩვენ ყოველთვის ღია ვართ ამისთვის", – აღნიშნა პუტინმა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვიზიტის დროს.

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპს ჭკვიანი და პრაგმატული ადამიანი უწოდა.

როგორც კრემლის ლიდერმა აღნიშნა, ტრამპთან პირველი საპრეზიდენტო ვადის განმავლობაში მუშაობდა.

„ის არა მხოლოდ ინტელექტუალური ადამიანია, ის არის პრაგმატული ადამიანი. და მიჭირს იმის წარმოდგენა, რომ მიიღება გადაწყვეტილებები, რომლებიც ზიანს აყენებს თავად ამერიკის ეკონომიკას", – განაცხადა პუტინმა.

# დონალდ ტრამპმა ენტონი ფაუჩის დაცვა მოუხსნა

**თქვენ არ შეიძლება სიცოცხლის ბოლომდე გყავდეთ დაცვა მხოლოდ იმიტომ, რომ მთავრობაზე მუშაობთ, – მიმართა დონალდ ტრამპმა ალერგიისა და ინფექციურ დაავადებათა ინსტიტუტის ყოფილ ხელმძღვანელს ენტონი ფაუჩის, რომელსაც დაცვა მოუხსნა.**

ფაუჩი კოვიდ პანდემიის დროს შესრულებული საჯარო როლის გამო საფრთხის წინაშე დგას, რის გამოც მას სახელმწიფო დაცვა ჰყავდა დანიშნული. მან კერძო დაცვა უკვე დაიქირავა.

მანამდე თეთრი სახლის ლიდერმა დაცვა თავისი კაბინეტის ყოფილ სახელმწიფო მდივანს მაიკ პომპეოს და უსაფრთხოების საკითხებში ყოფილ მრჩეველს ჯონ ბოლტონს მოუხსნა.

ტრამპის თქმით, ეს ადამიანები ბევრ ფულს შოულობენ და შეუძლიათ დაცვა თვითონ დაიქირაონ.

ცნობისთვის, ჯო ბაიდენმა წინასწარ შეიწყალა აშშ-ის შეიარაღებული ძალების მეთაურთა გაერთიანებული კომიტეტის ყოფილი ხელმძღვანელი მარკ მილი, ალერგიული და ინფექციური დაავადებების ეროვნული ცენტრის ყოფილი ხელმძღვანელი ენტონი ფაუჩი და კონგრესის წარმომადგენელთა პალატის სპეციალური კომიტეტის წევრები, რომლებიც 2021 წლის 6 იანვარს კაპიტოლიუმზე შტურმის საქმეს იძიებდნენ.



# შეძლებს თუ არა ევროპა ტრამპის მოთვინიერებას?!

## რატომ შეიძლება იყოს ამჯერად მათი ურთიერთობა სრულიად განსხვავებული?

**ევროპის მრავალი ქვეყანა შიდა სირთულეებს აწყდება (განსაკუთრებით რთული ვითარებაა ევროკავშირის წამყვან ქვეყნებში – გერმანიასა და საფრანგეთში), ამის მიუხედავად ტრამპმა მოახერხა და ყურადღება მიიპყრო საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვების შემდეგ. ტრამპის პირველი ვადა ევროპისთვის ადვილი არ იყო. ბევრი შიშობს, რომ „ტრამპ 2" შეიძლება ბევრად უარესი იყოს.**

*საფრანგეთი და გერმანია ჩაძირულნი არიან პოლიტიკურ და ეკონომიკურ პრობლემებში. მთლიანობაში ევროკავშირი ჩამორჩება ჩინეთსა და აშშ-ს კონკურენტუნარიანობის თვალსაზრისით, ხოლო დიდ ბრიტანეთში საჯარო სერვისები სავალალო მდგომარეობაშია.*

*მზად არის კონტინენტი დონალდ ტრამპთან დასაპირისპირებლად?*

როდესაც საქმე ვაჭრობასა და თავდაცვას ეხება, ტრამპი უფრო მოგების მაძიებელი ბიზნესმენივით იქცევა, ვიდრე ამერიკელი სახელმწიფო მოღვაწე, რომელიც აფასებს ტრანსატლანტიკურ ალიანსებს, რომლებიც დათარიღებულია მეორე მსოფლიო ომით.

„მას უბრალოდ არ სჯერა მომგებიანი პარტნიორობის", – თქვა გერმანიის ყოფილმა კანცლერმა ანგელა მერკელმა. ის ტრამპს მაშინ შეხვდა, როდესაც ის პირველად იყო თანამდებობაზე და დაასკვნა – პრეზიდენტი მიდრეკილია იმისკენ, რომ სამყარო „გამარჯვებულებად და დამარცხებულებად" დაყოს. ტრამპი დარწმუნებულია, რომ ევროპა წლების განმავლობაში იყენებს ამერიკულ ძალას თავის სასარგებლოდ და დროა, ეს შეჩერდეს.

ევროპელი ლიდერები გაოცებულები არიან მას შემდეგ, რაც ტრამპმა მოიგო აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნები. არჩეულმა პრეზიდენტმა არჩია საჯაროდ გააკრიტიკოს მოკავშირეები ევროპასა და კანადაში. ტრამპი ტრანსატლანტიკური სამხედრო ალიანსზე შემდეგ რამეს ამბობს: „წაახალისებს" რუსეთს, გააკეთოს „რაც უნდა" ევროპელ მოკავშირეებთან, თუ ისინი არ გაზრდიან თავდაცვის ხარჯებს.

რაც შეეხება ვაჭრობას, ტრამპი აშკარად ისეთივე გაბრაზებულია ევროკავშირზე, როგორც მისი პირველი ვადის დროს. ბლოკი გაცილებით მეტს ყიდის შეერთებულ შტატებში, ვიდრე შეაქვს შეერთებული შტატებიდან. 2022 წლის იანვარში სავაჭრო პროფიციტმა 15,4 მილიარდი ევრო შეადგინა. როგორ უპასუხა ტრამპმა ამას? მისი თქმით, ის 10-20%-იან ტარიფებს დააწესებს ყველა უცხოურ იმპორტზე და კიდევ უფრო მაღალ ტარიფებს ზოგიერთ საქონელზე, მაგალითად, მანქანებზე. ეს დამღუპველი სცენარია გერმანიისთვის, რომელიც დიდწილად ეყრდნობა ექსპორტს და განსაკუთრებით ავტოინდუსტრიას. მისი ეკონომიკა უკვე დაბრკოლებულია, გასულ წელს 0,2%-ით შემცირდა. ფინანსურმა სირთულეებმა გერმანიაში, ევროზონის უმსხვილეს ეკონომიკაში, შეიძლება გავლენა იქონიოს მთლიან ვალუტაზე.

### გერმანია „ტრამპის მთავარ მიზნებს შორისაა"

**მერკელმა** თქვა, რომ ტრამპი გერმანიის მიმართ თბილად იყო განწყობილი მისი პირველი საპრეზიდენტო ვადის განმავლობაში. იან ბონდი, ევროპული რეფორმების ცენტრის დირექტორის მოადგილე, თვლის, რომ ქვეყანა დარჩება „უმაღლეს" ევროპულ ქვეყნებს შორის, რომელთა მიმართაც ტრამპს უკმაყოფილება აქვს.

„მან წარსულში თქვა, რომ არ სურს ნიუ-იორკის ქუჩებში **Mercedes-Benz**-ის მანქანების ნახვა. ეს რაღაც უცნაურია, რადგან სინამდვილეში, ნიუ-იორკის ქუჩებში **Mercedes-Benze**-ების უმეტესობა დამზადებულია ალაბამაში, სადაც „მერსედესს" აქვს დიდი ქარხანა. ის ხშირად უფრო მტრულად იყო განწყობილი გერმანიის მიმართ, ვიდრე ევროპის ნებისმიერი სხვა ქვეყნის მიმართ. შესაძლოა, გერმანიისთვის ცოტა უფრო ადვილი იყოს ახალი, უფრო კონსერვატიული მთავრობით აშშ-თან ურთიერთობა, მაგრამ მე ამის იმედად არ ვიქნებოდი", – ამბობს ბონდი.

დიდი ბრიტანეთი იმედოვნებს, რომ თავიდან აიცილებს ტრამპის ტარიფებს, რადგან მას არ აქვს იგივე სავაჭრო დისბალანსი აშშ-სთან.

რამდენად მომზადებულია ევროპა რეალურად?

ევროპისთვის ნამდვილი საიდუმლო ახლა მისი არაპროგნოზირებადობაა: რამდენად ხმაური და დაშინებაა მისი სიტყვები და რამდენად რეალურია მისი ზრახვები?

იან ლესერი, ამერიკული ანალიტიკური ცენტრის **German Marshall Fund**-ის ვიცე-პრეზიდენტი, თვლის, რომ ტრამპის მუქარები ტარიფებთან დაკავშირებით რეალურია და ევროპა ამისთვის არავითარ შემთხვევაში არ არის მზად. „ისინი არ არიან მზად. გლობალური ვაჭრობისადმი განსხვავებული მიდგომა ანგრევს საერთაშორისო ეკონომიკის ბევრ საფუძველს, რომელიც აშენდა ათწლეულების განმავლობაში", – თქვა მან.

ლესერმის აზრით, ყველაზე დიდი გავლენა ევროპაზე შეიძლება იმოქმედოს ტრამპის აგრესიულმა სავაჭრო ომმა ჩინეთის წინააღმდეგ. მისივე თქმით, ამან შეიძლება შეაფერხოს ევროპის მიწოდების ჯაჭვი და პეკინი კიდევ უფრო იაფ პროდუქტს გადაყრის ევროპულ ბაზრებზე ადგილობრივი საწარმოების საზიანოდ. „ევროპისთვის ეს ორმაგი საფრთხეა: რა შეიძლება გააკეთოს ამერიკამ და რას გააკეთებს ჩინეთი საპასუხოდ", – ამბობს ის.



**ბრექსიტის შემდგომ, ევროკავშირი ბრიტანეთს ხედავს, როგორც ახლო მოკავშირეს, რომელიც იზიარებს იმავე ღირებულებებს მსოფლიოში, რომელსაც საფრთხე ემუქრება ჩინეთის ამბიციებით, რუსული ექსპანსიით და არაპროგნოზირებადი, თავხედი აშშ-ის პრეზიდენტით.**

### ვაჭრობა, თავდაცვა და მუშკის ფაქტორი

**საქმეს** კიდევ უფრო ართულებს ის ფაქტი, რომ ტრამპი და მისი ადმინისტრაცია ვაჭრობასა და თავდაცვას არ განიხილავს როგორც ორ ცალკეულ საკითხს. პრეზიდენტმა ცოტა ხნის წინ უარი თქვა ეკონომიკური და სამხედრო მოქმედების შესაძლებლობაზე ევროკავშირისა და ნატოს წევრი დანიის წინააღმდეგ, თუ იგი არ გადასცემს თავის ავტონომიურ ტერიტორიას გრენლანდიას შეერთებულ შტატებს.

ბოლო დროს ილონ მასკიც აქტიურად ავლენს თავის გატაცებებს ევროპულ პოლიტიკაში. მან არაერთხელ შეუტია მემარცხენე ცენტრის ევროპელ ლიდერებს, მათ შორის კირ სტარმერს დიდ ბრიტანეთში და გერმანიის კანცლერ ოლაფ შოლცს.

### საკუთარი თავის სიყვარული და დიდი ფული

**შედეგად**, სხვადასხვა ევროპელი ლიდერები ატარებენ განსხვავებულ მიდგომებს „ტრამპის მოთვინიერების" მიზნით. ზოგი ცდილობს, ასიამოვნოს მისი არცთუ ისე მოკრძალებული ეგო.

საფრანგეთის პრეზიდენტი ემანუელ მაკრონი ამ საკითხში ექსპერტია. ის იყო ერთ-ერთი პირველი მსოფლიო ლიდერი, რომელმაც მიულოცა ტრამპს გაპრეზიდენტება სოციალური მედიის მეშვეობით.

ევროპის ცენტრალური ბანკის ხელმძღვანელმა კრისტინ ლაგარდმა ევროპელ ლიდერებს ურჩია, მიეღოთ „ჩეკის სტრატეგია" და ეწარმოებინათ მოლაპარაკება ტრამპთან, ვიდრე სამაგიერო გადაეხადათ მის მიერ შემოთავაზებულ ტარიფებზე. ევროკომისიის წყაროები ამერიკული სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და იარაღის შესყიდვების შესაძლო ზრდაზეც საუბრობენ.

უნდა იყოს თუ არა ევროპა უფრო თვითკმარი?

მაკრონი დიდი ხანია მხარს უჭერს იმას, რასაც ის „სტრატეგიულ ავტონომიას" უწოდებს: არსებითად, ევროპამ უნდა ისწავლოს იყოს უფრო თვითკმარი, რათა გადარჩეს. „ევროპა... შეიძლება დაიღუპოს და ეს მხოლოდ ჩვენს არჩევანზეა დამოკიდებული", – თქვა მან ამ გაზაფხულზე.

კოვიდმა აჩვენა ევროპას, რამდენად არის იგი დამოკიდებული ჩინურ იმპორტზე, მაგალითად, მედიკამენტებზე. რუსეთის შეჭრამ უკრაინაში გამოავლინა ევროპის ზედმეტად დამოკიდებულება რუსულ ენერგიაზე.

ტრამპის დაბრუნება თეთრ სახლში აიძულებს ევროპელ ლიდერებს, დაფიქრდნენ კონტინენტის სუსტ მხარეებზე.

### რა ვუყოთ დაცვას?!

**ევროპა** ზოგადად ეთანხმება ტრამპის დაჟინებულ მოთხოვნას, რომ ევროპამ მეტი დახარჯოს თავდაცვაზე, თუმცა ამ საკითხზე მაინც მიმდინარეობს კამათი. ვიდრე ტრამპი საუბრობს ხარჯების გაზრდაზე, ევროპელები ფიქრობენ იმაზე, თუ როგორ დახარჯონ თავიანთი თავდაცვის ბიუჯეტი კონტინენტის უსაფრთხოების გასაუმჯობესებლად.

ემანუელ მაკრონს სურს შექმნას ევროკავშირის მასშტაბით სამრეწველო თავდაცვის პოლიტიკა. მისი თქმით, უკრაინის ომმა აჩვენა, რომ „ჩვენი ფრაგმენტაცია სისუსტეა". ევროპა შიშობს, რომ ტრამპს არ სურს კვლავ იყოს უკრაინის სამხედრო დახმარების მთავარი სპონსორი, როგორც ის იყო ბაიდენის ადმინისტრაციის დროს.

ევროკავშირის თავდაცვის უფროსი და ესტონეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი კაია კალასი თვლიან, რომ ევროპელებს საერთო მიზნები სჭირდებათ.

### უფრო სუსტი და ფრაგმენტული? როგორია ევროპა დღეს?

**ზოგიერთი** ანალიტიკოსი ამბობს, რომ ევროპა ახლა გაცილებით სუსტ და ფრაგმენტულ მდგომარეობაშია, ვიდრე 2016 წელს, როდესაც ტრამპი პირველად აირჩიეს. ანუ, ახლა ის კიდევ უფრო ნაკლებად არის მზად **„ტრამპ 2"**-ისთვის.

პოპულისტური ნაციონალისტური და ევროსკეპტიკური ძალები ძლიერდებიან ევროპის ბევრ ქვეყანაში. თუმცა, 2016 წელს ევროპაში ყველაფერი ასე კარგად არ იყო. ფინანსური მდგომარეობის თვალსაზრისით, ჩრდილოეთ ევროპა, რა თქმა უნდა, უკეთესი იყო, ვიდრე ახლა, მაგრამ კონტინენტი ღრმად იყო გაყოფილი 2015 წლის ლტოლვილთა კრიზისის შემდეგ.

პოპულისტური ევროსკეპტიკური პარტიებიც იზრდებიან და 2016 წლის ივნისში **Brexit**-ის კენჭისყრის შემდეგ ბევრმა იწინასწარმეტყველა, რომ სხვა წევრი ქვეყნები მალე დატოვებდნენ ევროკავშირს და გაერთიანება მთლიანად დაიშლება.

ბრექსიტის შემდგომ, ევროკავშირი ბრიტანეთს ხედავს, როგორც ახლო მოკავშირეს, რომელიც იზიარებს იმავე ღირებულებებს მსოფლიოში, რომელსაც საფრთხე ემუქრება ჩინეთის ამბიციებით, რუსული ექსპანსიით და არაპროგნოზირებადი, თავხედი აშშ-ის პრეზიდენტით.

იმავდროულად, ნატო გაძლიერდა სამხედრო და სტრატეგიულად ალიანსში შვედეთისა და ფინეთის დამატებით – თუმცა ისინი კვლავ შიშობენ, რომ ტრამპის მოსვლა შეამცირებს აშშ-ის როლს ბლოკში. ამიტომ რჩება იმედი, რომ ამჯერად ევროპელები არ აჩვენებენ ტრამპს იმ წინააღმდეგობებს, რომლებიც მას ასე აღიზიანებს.

**წყარო: https://www.bbc.com/news/articles/c93ll927v18o**

**BBC-დან თარგმნა**
**ქეთი გიორგაძემ**

## აშშ-მა არალეგალური მიგრანტების დეპორტაციის პროცესი დაიწყო

**აშშ-მა არალეგალური მიგრანტების დეპორტაციის პროცესი დაიწყო. ორი სამხედრო თვითმფრინავის საშუალებით 160-მდე არალეგალი მიგრანტი გვატემალაში გადაიყვანეს.**

**სააგენტო „როიტერის" ცნობით, სამხრეთის საზღვრიდან ქვეყანაში უკანონოდ შესული პირების დეპორტაცია გაგრძელდება.**

**არალეგალი მიგრანტების დეპორტაციის განკარგულებას ხელი დონალდ ტრამპმა თეთრი სახლის ადმინისტრაციის გადაბარების შემდეგ, პირველსავე დღეს მოაწერა.**

**პრეზიდენტმა უკანონო მიგრაცია საგანგებო მდგომარეობად გამოაცხადა და შეიარაღებულ ძალებს საზღვრის დაცვაში დახმარება დაავალა, ასევე ფართო შეზღუდვები დააწესა თავშესაფრის მინიჭების კრიტერიუმებზე და გაამკაცრა მოქალაქეობის მინიჭების საკითხი შტატებში დაბადებული ბავშვებისთვის.**

**გავრცელებული ცნობით, იგეგმება კიდევ 5 000-მდე მიგრანტის დეპორტაცია ელ პასოს, ტეხასის, სანდიეგოსა და კალიფორნიის მიგრანტთა დროებითი განთავსების იზოლატორებიდან.**

## თეა წულუკიანი:

# ჩანს, მაკრონი თვლის, რომ საჭიროა, საქართველოდან გადარჩეული საფრანგეთის შვილი მიიღოს, გაესაუბროს მას, როგორც ყოფილ კოლეგას...



პრეზიდენტი ემანუელ მაკრონი თავისუფალია, ვისაც უნდა, იმას შეხვდეს, ვფიქრობ, ეს კოლეგიური ჟესტია მისი მხრიდან და არა მტრული ნაბიჯი საქართველოს წინააღმდეგ, – ამის შესახებ პარლამენტის ვიცე-სპიკერმა თეა წულუკიანმა განაცხადა.

„სალომე ზურაბიშვილი, მას შემდეგ, რაც მოუწია პრეზიდენტის რეზიდენციისა და ფუნქციების დატოვება, როგორც ამას კონსტიტუცია ითვალისწინებს, მაინც არ ეპუება იმ ბედს, რომელიც ნებისმიერი პოლიტიკოსის ბედია მანდატის დასრულების შემდეგ. ამიტომ ზურაბიშვილი აგრძელებს ვიზიტებს, რა თქმა უნდა, სად თუ არა საფრანგეთში, რომელიც, როგორც ყველამ იცით, მისი ქვეყანაა. როგორც ჩანს, საფრანგეთია სწორედ მისი სამშობლო და ეს არ უნდა გვეწყინოს. ჩვენ გვწყინს ის, რომ საქართველო ვერაფრით გახდა მისი სამშობლო და მან არცერთი ნაბიჯი არ გადადგა პრეზიდენტობისას, რათა ამ საქართველოსთვის ეღვაწა და მისი მომავლის განვითარებაზე ეზრუნა. თუნდაც სტრასბურგში, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე, სადაც ოპოზიციამ წერილი გაგზავნა, ისინი ითხოვენ, რომ სალომე ზურაბიშვილი აღიარებულ იქნეს და დარჩეს საქართველოს ლეგიტიმურ პრეზიდენტად. ოღონდ არ არის მითითებული, რამდენ ხანს უნდა დარჩეს ქალბატონი სალომე პრეზიდენტად და რომელ საკანონმდებლო ნორმაზე დაყრდნობით ითხოვენ ისინი ამას“, – აღნიშნა წულუკიანმა.

# ოპოზიციონერ უნასთა სტრასბურგის ასამბლეაზე

## საქართველოს დელეგაციას თეა წულუკიანი უხელმძღვანელებს!

**დღეს, 27 იანვრის ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა ზამთრის სესიაზე შეიკრიბება. სტრასბურგში მმართველ გუნდს დაგეგმილი აქვს არაერთი შეხვედრა.**

სესიაზე ქართული დელეგაცია პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის **თეა წულუკიანის** ხელმძღვანელობით მონაწილეობს. დელეგაცია შეხვედრებს 29 იანვრის ჩათვლით გამართავს.

როგორც ცნობილია, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტსა და საპარლამენტო ფრაქციებს სამმა ოპოზიციურმა პარტიამ – **„კოალიცია ცვლილებებისთვის“, „ერთიანობა ნაციონალური მოძრაობა“** და **„ძლიერი საქართველო“** მიმართა წერილით, რომ საპარლამენტო ასამბლეაში საქართველოს საპარლამენტო დელეგაციის უფლებამოსილება არ დადასტურდეს.

# მორიგი ანტიქართული დანოსი სტრასბურგში

## ოპოზიცია ქართული დელეგაციის დაბლოკვას ითხოვს



**დღეს, სტრასბურგში ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის დებატები იხსნება, სადაც დღის წესრიგში საქართველოს საკითხიცაა. როგორც ცნობილია, საქართველოს დელეგაცია, თეა წულუკიანის ხელმძღვანელობით, 29 იანვრის ჩათვლით, შეხვედრებს გამართავს. თუმცა, ამის ფონზე, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტსა და საპარლამენტო ფრაქციებს სამმა ოპოზიციურმა პარტიამ – „კოალიცია ცვლილებებისთვის“, „ერთიანობა ნაციონალური მოძრაობა“ და „ძლიერი საქართველო“ მიმართა წერილით, რომ საპარლამენტო ასამბლეაში საქართველოს საპარლამენტო დელეგაციის უფლებამოსილება არ დადასტურდეს.**

გაგრძელება მე-8 გვ.

# საქართველოს რესპუბლიკის „პრეზიდენტის“ თხოვნა დასავლეთს „შეაჩერე რუსეთი“

**აშშ-ის გაზეთ „ქრისჩენ საიენს მონითორში“ (The Christian Science Monitor)** გამოქვეყნებულია სტატია სათაურით **„საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის თხოვნა დასავლეთს: „შეაჩერე რუსეთი“** (ავტორი – **ჰოვარდ ლაფრანჩი**).

„სალომე ზურაბიშვილი სარგებლობს დონალდ ტრამპის ლოზუნგით „ამერიკა უპირველეს ყოვლისა“ და ვაშინგტონს რუსეთის შეჩერების თხოვნით მიმართავს“, – ნათქვამია პუბლიკაციაში.

The CHRISTIAN SCIENCE MONITOR



* * *

სტრატეგიულად მნიშვნელოვან კავკასიაში, შავი ზღვის პირას მდებარე 3,7-მილიონიანი ქვეყნის – საქართველოს მეხუთე პრეზიდენტი დე ფაქტოდ ქართული ოპოზიციური მოძრაობის მედროშედაც ითვლება. როგორც სალომე ზურაბიშვილი ამბობს, მის სამშობლოში დემოკრატია და დასავლური ფასეულობები საფრთხის ქვეშ იმყოფება, თუმცა ამერიკისათვის უფრო მეტად შემაშფოთებელი ის უნდა იყოს, რომ რეგიონში ვაშინგტონის ინტერესები იზღუდება – კავკასიაში ბოლო დროს სიტუაცია რუსეთის, ჩინეთისა და ირანის სასარგებლოდ იცვლება.

„ჩვენ დემოკრატია უნდა დავიცვათ და ამას ის ადამიანები აკეთებენ, რომლებიც ყოველდღიურად გამოდიან ჩვენი ქალაქების ქუჩებში“, – განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა ჟურნალისტებთან შეხვედრის დროს, რომლებიც „ქრისჩენ საიენს მონითორის“ ინიციატივით შეიკრიბნენ ვაშინგტონში, – მაგრამ თუ ჩვენ ძლიერ ამერიკაზე ვლაპარაკობთ, მაშინ აშშ-ის ძლიერება სტრატეგიულად მნიშვნელოვან რეგიონშიც – კავკასიაში და შავიზღვისპირეთშიც იწყება“.

როგორც საქართველოს „კანონიერმა პრეზიდენტმა“ განაცხადა, რუსეთი კავკასიას მეტად საჭირო რეგიონად თვლის, შესაბამისად, აშშ-ისათვის სერიოზული უკან დახევა იქნება, თუ ვაშინგტონი თავის გავლენას შეასუსტებს და ადგილს რუსეთს დაუთმობს, მით უმეტეს ჩინეთს.

ქალბატონმა სალომე ზურაბიშვილმა უარი განაცხადა ქვეყნის პრეზიდენტის პოსტიდან გადადგომაზე გასული წლის დეკემბერში, როცა ახალ პრეზიდენტად მიხეილ ყაველაშვილი იქნა არჩეული პარლამენტის არჩევნების შემდეგ, რომელიც ბევრმა ქართველმა და დასავლეთის ქვეყნების უმრავლესობამ გაყალბებულად ჩათვალა.

სალომე ზურაბიშვილი საკუთარ თავს „საქართველოს ერთადერთ კანონიერ პრეზიდენტად“ თვლის და მხარს უჭერს ოპოზიციურ მოძრაობას, ანტისამთავრობო გამოსვლებს თბილისში და ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში. იგი ასევე დადის ევროპის დედაქალაქებშიც და ახლა უკვე ვაშინგტონშიც და დასავლეთს აფრთხილებს, რომ თუ ევროპა და აშშ ერთობლივად და მტკიცედ არ აღუდგებიან წინ რუსეთისა და ჩინეთის მცდელობებს, მოსკოვი და პეკინი თავიანთ ბატონობას დასავლეთზეც გაავრცელებენ.

როცა სალომე ზურაბიშვილი პარიზში, ღვთისმშობლის ტაძრის გახსნის დროს დონალდ ტრამპს წარუდგინეს, მან აშშ-ის არჩეულ პრეზიდენტს უთხრა, რომ „საქართველო ამერიკისთვის სტრატეგიული ქვეყანაა და ამიტომ ვაშინგტონმა ეს არ უნდა დაივიწყოს“. „დამრჩა ისეთი შთაბეჭდილება, რომ ჩემი ნათქვამი დონალდ ტრამპმა ინტერესით მიიღო“, – აღნიშნა სალომე ზურაბიშვილმა, რომელმაც ამერიკელ ლიდერს საქართველოში ვიზიტი გაახსენა და ის, რომ იგი კმაყოფილი იყო იმ ვიზიტით: „ეს არ ყოფილა რაიმე აბსტრაქტული მომენტი. [დონალდ ტრამპი] შეიძლება საქართველოს მეგობრად ჩავთვალოთ“.

სალომე ზურაბიშვილის თქმით, მან თავისი თხოვნა და პოზიცია გაუზიარა სახელმწიფო მდივან მარკო რუბიოსაც, როცა მას მცირე დროით შეხვდა ინაუგურაციასთან დაკავშირებული ერთ-ერთი ღონისძიების დროს (ქართველი ლიდერი ვაშინგტონში რესპუბლიკელი სენატორის ჯო უილსონის მიწვევით იმყოფება).

სალომე ზურაბიშვილის თქმით, ჯერ კიდევ გასარკვევია, თუ რა დონით არის დაინტერესებული დონალდ ტრამპის ადმინისტრაცია კავკასიისა და შავიზღვისპირეთის გეოპოლიტიკური მნიშვნელობით და არის თუ არა ეს რეგიონი მის პრიორიტეტებში. მაგრამ იგი იმავდროულად ხაზს უსვამს, რომ დასავლეთმა ყურადღება უნდა მიაქციოს რუსეთის სულ უფრო დახვეწილ მოქმედებას, რომელიც მიმართულია დამოუკიდებელ ქვეყნებში თავისუფალი არჩევნების ჩატარების ძირის გამოთხრისაკენ.

მათ გასაგონად, ვინც წუხს, რომ დონალდ ტრამპი ყოფილი პრეზიდენტის ჯო ბაიდენის კურსს შეცვლის და უფრო მკვეთრად გაატარებს პოლიტიკას ლოზუნგებით „მშვიდობა ძალის გამოყენებით“ და „ამერიკა უპირველეს ყოვლისა“, სალომე ზურაბიშვილს კიდევ ერთი გზავნილი აქვს: მისი თქმით, საქართველოს გამოცდილებიდან გამომდინარე, ჯო ბაიდენის დოქტრინა ძირითადად მხოლოდ სიტყვებს ემყარებოდა. „აშშ-ის წინა ადმინისტრაციას... სინამდვილეში არაფერი გაუკეთებია საქართველოში დემოკრატიის შესანარჩუნებლად ბოლო ორი წლის განმავლობაში“, – ამბობს იგი და აღნიშნავს, რომ ვაშინგტონმა მხოლოდ 29 დეკემბერს, როცა მიხეილ ყაველაშვილმა პრეზიდენტის უფლებამოსილება მიიღო, გამოაცხადა სანქციები მათ წინააღმდეგ, რომელსაც იგი „ახალ რეჟიმს“ უწოდებს.

სალომე ზურაბიშვილს შეახსენეს, რომ დონალდ ტრამპმა თავისი „ექსპანსიონისტური გეგმებით“ გრენლანდიისა და პანამის არხის შესახებ აშშ-ის მოკავშირეებიც კი შეაშფოთა.

მიუხედავად იმისა, რომ მანამდე ქართველმა ლიდერმა ხაზი გაუსვა ტერიტორიული მთლიანობისა და საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების პატივისცემის პრინციპს, მან მაინც სიფრთხილე გამოიჩინა, რომ (აშშ-სთან) ხიდები არ დაეწვა: „დონალდ ტრამპს შეუძლია ილაპარაკოს (აშშ-ის ტერიტორიის) სამომავლო გაფართოებაზე, მაგრამ რუსები ამას უკვე პრაქტიკულად აკეთებენ“, – თქვა მან და ჟურნალისტებს უთხრა, რომ რუსეთს საქართველოს ორი რეგიონი აქვს ოკუპირებული. მისი თქმით, ამ მხრივ მნიშვნელოვანი მაგალითი იქნება ის, თუ რას და როგორ გააკეთებს დონალდ ტრამპის ადმინისტრაცია რუსეთ-უკრაინის ომის შესაწყვეტად.

გლობალური სტაბილურობისათვის მსოფლიოს სახელმწიფოებმა, აშშ-ის ლიდერობით, „რუსეთი, ბოლოს და ბოლოს, უნდა აიძულონ, რომ ის ნორმალური ქვეყანა გახდეს, მაგრამ... ისეთად, რომელიც თავისი საზღვრების ფარგლებში იარსებებს“, - თქვა სალომე ზურაბიშვილმა.

**წყარო: https://www.csmonitor.com/USA/Politics/monitor_breakfast/2025/0122/georgia-salome-zourabichvili-russia-trump**

ჩვენ საქართველო, რესპუბლიკა

# ბიძინა ივანიშვილის ადვოკატი ბაჩიაშვილს ამხელს!

## დეზინფორმაციის გავრცელების მიზანი, არის აჟიოტაჟის შექმნის მცდელობა, რაც, ჩემი აზრით, ცალსახად მიუთითებს ბრალდებული მხარის პოზიციების სისუსტეზე



**ბიძინა ივანიშვილის ადვოკატი თემო წიქვაძე განცხადებას ავრცელებს, რომელსაც „კვირა“ უცვლელად გთავაზობთ.**

„მსურს საზოგადოებისთვის განმარტება გავაკეთო ბატონი ბაჩიაშვილის მიერ დღევანდელი პროცესის შემდგომ გაკეთებულ განცხადებასთან დაკავშირებით.

როგორც ბრალდებულმა განმარტა, მან მიიღო წერილი, რომელსაც მისი თქმით ოთხმოცდაათიან წლებში ,,კრიმინალური შოჩიკი“ ეწოდებოდა (როგორც ჩანს ოთხმოცდაათიანი წლების ქუჩურ ტერმინოლოგიაში ბაჩიაშვილი კარგად ერკვევა), ასევე მიუთითა, რომ წერილის გადამცემი პირი (ვიგულისხმები მე) არის არა ადვოკატი, არამედ უბრალოდ ნდობით აღჭურვილი პირი.

ბრალდებულის აღნიშნული განმარტებები არის სიცრუე, ასევე ფაქტების დამახინჯების მცდელობა.

**„მე რომ ბიძინა ივანიშვილის ადვოკატი /წარმომადგენელი ვარ საჯაროდ ცნობილი ფაქტია. ვფიქრობ, ჩემს მიერ საქმესთან დაკავშირებით საჯაროდ გავრცელებული განცხადებები უტყუარად ადასტურებს ამ გარემოებას და არავის სჯერა, რომ მე თვითნებურად ვახორციელებ აღნიშნულ ქმედებებს. ცხადია, ჩემს მარწმუნებელთან მაკავშირებს შესაბამისი სახელშეკრულებო ურთიერთობა და ვმოქმედებ ამ ურთიერთობით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში. ამასთან, სისხლის სამართლის საქმეზე დაზარალებულის წარმომადგენლობას არ სჭირდება რაიმე სპეციალური ნებართვა თუ ლიცენზია სისხლის სამართლის საქმეებში მონაწილეობასთან დაკავშირებით და ეს კიდევ ერთი** ცრუ განმარტებაა, რაც ბატონი ბაჩიაშვილის მხრიდან გაცხადდა.

იმავდროულად, ვადასტურებ, რომ ბრალდებულის ადვოკატთან მქონდა კომუნიკაცია და მას წარვუდგინე დაზარალებული მხარის შეთავაზება (ზუსტად ამ დასახელებით). შეთავაზების არსი მდგომარეობდა იმაში, რომ დაზარალებული მხარე გამოიჩენდა კეთილ ნებას და ბრალდებულს მიეცემოდა შეთავაზებაში მითითებული ოდენობით ,,დისკონტი“ (მას ბრალად წაყენებული აქვს 8986,8675 ბიტკოინის მართლსაწინააღმდეგო მითვისება), თუკი წინასასამართლო სხდომამდე (როდესაც ჯერ კიდევ არ არის გარკვეული საქმე გადაეცემა თუ არა სასამართლოს არსებითი განხილვისათვის) ბრალდებულის მხრიდან მოხდებოდა შესაბამისი რაოდენობის ბიტკოინების მყისიერი დაბრუნება.

აღსანიშნავია ისიც, რომ ბრალდებულის ადვოკატის თხოვნით, არაერთხელ შევხვდი ბრალდებულის მხარეს, მათი პოზიციისა თუ შეთავაზებების მოსასმენად. ამ დროს კარგად აცნობიერებდნენ, რომ მე ვიყავი ჩემი მარწმუნებლის ადვოკატი /წარმომადგენელი და უცნაურია დღეს ასეთი განცხადებები.

შესაბამისად, ადგილი ჰქონდა არა რაიმე კრიმინალურ ქმედებას, არამედ მორიგების მცდელობას მხარეთა შორის, რაც სრულიად ჯანსაღი მოვლენაა (არაერთ საქმეზე ჰქონია ადგილი მსგავს კომუნიკაციას მხარეებს შორის და მომავალშიც ექნება).

მიმაჩნია, რომ ბრალდებულის მხრიდან ამგვარი დეზინფორმაციის გავრცელების მიზანი, არის აჟიოტაჟის შექმნის მცდელობა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მეშვეობით თითქოსდა სკანდალური ინფორმაციის გავრცელება, რაც, ჩემი აზრით, ცალსახად მიუთითებს ბრალდებული მხარის პოზიციების სისუსტეზე“.

# მადრიდმა იმედები გაამართლა...

## მაია ომიაძე მადრიდში საერთაშორისო მედია და ტურისტული პლატფორმების წარმომადგენლებს შეხვდა

**„მადრიდის საერთაშორისო ტურისტული გამოფენის, FITUR-2025-ის ფარგლებში, ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ უმსხვილესი ავიაკომპანიების, საერთაშორისო მარკეტინგული, დაჯავშნისა და ტურისტული პლატფორმების წარმომადგენლებთან მოლაპარაკებები გამართა. შეხვედრებზე საქართველოს პოპულარიზაციისა და ტურისტული ნაკადების გაზრდის მიზნით თანამშრომლობის საკითხები განიხილეს“ – ამის შესახებ ინფორმაციას ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ავრცელებს.**

„4 დღის განმავლობაში, მადრიდში, FITUR-2025-ზე საქართველო წარმოდგენილი იყო ეროვნული სტენდით, კერძო კომპანიებთან ერთად. გვქონდა აქტიური შეხვედრები საერთაშორისო მედია პლატფორმებთან, მომავალი წლის და წლევანდელი ერთობლივი მარკეტინგული ღონისძიებების დაგეგმვის შესახებ“, – განაცხადა ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა **მაია ომიაძემ.**

მადრიდის საერთაშორისო ტურისტული გამოფენის დასრულების შემდეგ საქართველოს დელეგაცია ესპანეთის დედაქალაქში, მსოფლიოში ყველაზე დიდ გასტრო კონგრესში **Madrid fusión** 2025 მიიღებს მონაწილეობას.

„გამოფენის დასრულების შემდეგ საქართველო მადრიდში უკვე გასტრონომიულ კონგრესზე წარდგება, სადაც ქართველი შეფ-მზარეულები ქართულ კულინარიას გააცნობენ მთელი მსოფლიოდან ჩამოსულ სტუმრებს. ვფიქრობ საქართველოსთვის წარმატებული ფესტივალი იქნება, ისევე როგორც შარშან, დიდი გამოხმაურება მოჰყვა აღნიშნულ ფესტივალს და წელსაც საქართველო ღირსეულად წარდგება ქართული გასტრონომიით“, – აცხადებს მაია ომიაძე.

**FITUR**-2025-ზე, ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ, თანამშრომლობის მიზნით შეხვედრები გამართა შემდეგ კომპანიებთან: **British Airways, Expedia, Bloomberg, Thinkstrawberies, Epic Road Rides, Paramaunt, Edreams odiego, Comunica por Cuatro** და სხვა.

„ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან ძალიან კარგი შეხვედრა გვქონდა. ჩვენ განვიხილეთ თუ რა კუთხით უნდა ვიმუშაოთ, რომ ხელი შევუწყოთ საქართველოს ტურისტული მიმართულების ცნობადობის გაზრდას გლობალურად. მიმოვიხილეთ წლის განმავლობაში დაგეგმილი აქტივობები და ველოდებით თანამშრომლობის შემდეგ ეტაპზე გადასვლას“, – აცხადებს **Expedia**-ს ბიზნესის განვითარების უფროსი მენეჯერი ლორანიო სანჩესი.

„ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან 2025 წლის მარკეტინგული პროექტების გეგმა განვიხილეთ. ჩვენ წლებია ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მედია პარტნიორი ვართ, ახლა ვიკვლევთ თუ როგორ შეიძლება საქართველოს ტურისტული პოტენციალის ჩვენება ამ წელს“, – განაცხადა **Bloomberg**-ის წარმომადგენელმა დევიდ მინმა.

მადრიდის საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაზე, **B2B** ფორმატის ფარგლებში, შეხვედრები გამართეს ქართული კერძო სექტორის წარმომადგენლებმა უცხოელ კოლეგებთან.

„აშკარად გაამართლა მოლოდინმა, მზარდია ინტერესი, ძალიან საინტერესო შეხვედრები შედგა, დიდი დაინტერესება იყო ესპანეთიდან, გამოვარჩევდი ლათინური ამერიკის ქვეყნებსაც, ასევე მაროკოს და ისრაელს. ბევრი დაინტერესებული პირი ეწვია ჩვენს სტენდს“, – ამბობს კავკაზუს თრეველის წარმომადგენელი ეკა ბერძენიშვილი.

„დასასრულს მიუახლოვდა მადრიდის გამოფენა, ძალიან საინტერესო შეხვედრები შედგა, ძალიან დატვირთული გამოფენა იყო 4 დღის განმავლობაში. ინტერესი იყო ძალიან მაღალი არამხოლოდ ესპანეთიდან, არამედ სხვა ქვეყნებიდანაც. ნამდვილად გაამართლა იმედები და დარწმუნებული ვარ ბევრი ტურისტი ეწვევა საქართველოს“, – აცხადებს ომნეს ტურის წარმომადგენელი სოფო ზურიაშვილი.

**ცნობისთვის, FITUR-2025-ზე 152 ქვეყანა, 10 ათასამდე კომპანია და ორგანიზაცია მონაწილეობს. მადრიდის ტურისტულ გამოფენას 153 ათასზე მეტი ვიზიტორი ჰყავს.**



ლევან მგალობლიშვილი:

# ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ აფხაზეთის საჯარო სკოლების მოსწავლეებს სრულფასოვანი განათლების მისაღებად საჭირო ყველა აუცილებელი პირობა ჰქონდეთ!

**ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ აფხაზეთის საჯარო სკოლების მოსწავლეებს, სრულფასოვანი განათლების მისაღებად საჭირო ყველა აუცილებელი პირობა ჰქონდეთ შექმნილი და მათი განათლების ხარისხი სრულად აკმაყოფილებდეს საერთაშორისო სტანდარტებს. ამიტომ, მიმდინარე წელს, ამ მიმართულებით, არაერთი მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელება გვაქვს დაგეგმილი, – განაცხადა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ ლევან მგალობლიშვილმა აფხაზეთის საჯარო სკოლების დირექტორებთან და პედაგოგებთან შეხვედრაზე.**



შეხვედრაზე სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში მოქმედ აფხაზეთის საჯარო სკოლებში არსებულ ძირითად გამოწვევებზე ისაუბრეს.

მთავრობის თავმჯდომარის თქმით, მნიშვნელოვანია, რომ პედაგოგის საქმიანობა კიდევ უფრო მეტად დაფასებული გახდეს.

**„მინდა, თითოეულ თქვენგანს, მადლობა გადაგიხადოთ უანგაროდ გაწეული შრომისთვის და მიმაჩნია, რომ პედაგოგის საქმიანობა უფრო მეტად დაფასებული უნდა იყოს, რადგან უდიდესია თქვენი წვლილი ჩვენი ქვეყნისთვის, ღირსეული მომავალი თაობების აღზრდისა და განვითარების საქმეში“,** – განაცხადა ლევან მგალობლიშვილმა.

# ლამბალოს აზერბაიჯანულ სკოლას 500 ქართული წიგნი გადაეცა

**საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი კონსტანტინე გამსახურდია და დირექტორის მოადგილე მირიან ხოსიტაშვილი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ლამბალოს აზერბაიჯანულ საჯარო სკოლას ესტუმრნენ.**

ეროვნული ბიბლიოთეკის ინფორმაციით, მათ სკოლას უახლესი ქართული ლიტერატურა, სულ 500-მდე წიგნი გადასცეს. წიგნები მიმდებარე სოფლების აზერბაიჯანულ სკოლებზედაც განაწილდება.

გაიმართა შეხვედრა სკოლის მოსწავლეებთან და პედაგოგებთან. შეხვედრაზე საუბარი შეეხო წიგნიერებისა და განათლების მნიშვნელობას.

არაქართულენოვანი სოფლების სკოლების მხარდაჭერა მომავალშიც გაგრძელდება. პროექტს ეროვნული ბიბლიოთეკა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრთან ერთად ახორციელებს.



# მორიგი ანტიქართული დანოსი სტრასბურგში

მეექვსე გვერდიდან

მმართველი პარტიის ლიდერები ამბობენ, რომ მსგავსი ინიციატივები არ უკვირთ და აღნიშნავენ, რომ ოპოზიცია საკუთარი ქვეყნის ინტერესებს კონკრეტული ძალების გავლენების გამო აზიანებს. ანტიქართულს უწოდებს ინიციატივას პრემიერ-მინისტრი. ირაკლი კობახიძის თქმით, დელეგაციისთვის მანდატის შეჩერებას, მით უმეტეს პრორუსულობის საბაბით, არანაირი საფუძველი არ აქვს.

ანალიტიკოსი **ვახტანგ ძაბირაძე** For.ge-სთან საუბარში ამბობს, რომ ოპოზიციური პარტიების გადაწყვეტილება სწორია. მისი შეფასებით, ოპოზიცია ეცდება, „ქართული





ოცნების“ პოლიტიკური იზოლაცია მოახდინოს:

**„ზოგადად, ჩვენი ყოფილი პარტნიორები მიდიან იქითკენ, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლება მოაქციონ იზოლაციაში. ამიტომ, ოპოზიციის მოთხოვნა, რომ არ მიიღონ ქართული დელეგაცია და არალეგიტიმურად აღიარონ საქართველოს ხელისუფლება, ეს ოპოზიციის მხრიდან სწორად გადადგმული ნაბიჯია. ვერ გეტყვით, რას იზამს ევროსაბჭო, მაგრამ ოპოზიცია ეცდება, რომ ყველა დონეზე მოახდინოს ხელისუფლების იზოლაცია.**

**ამერიკის დამოკიდებულება „ქართული ოცნების“ მიმართ რომ შეიცვალოს, ამას სჭირდება რიგგარეშე არჩევნების ჩატარება და პატიმრების გამოშვება – სხვა მხრივ, საუბარი იმაზე, რომ ამერიკის ხელისუფლება შეიცვლის პოლიტიკას, გამორიცხულია. არ ვფიქრობ, რომ ამერიკის ახალი ადმინისტრაცია ამ მხრივ რაიმე დათმობაზე წავა. მეტსაც გეტყვით, შესაძლოა ამერიკის ახალი ადმინისტრაცია გაცილებით მკაცრი იყოს საქართველოს ხელისუფლების მიმართ, ვიდრე ბაიდენის ადმინისტრაცია იყო“,** – განაცხადა ვახტანგ ძაბირაძემ.

ანალიტიკოსი **ედიშერ გვენეტაძე** ჩვენთან ინტერვიუში აღნიშნავს, რომ დღევანდელი ოპოზიცია ყველაფერს აკეთებს საქართველოს სახელმწიფოებრიობის გასანადგურებლად:

**„დღეს საქართველოს ჰყავს ისეთი ოპოზიცია, რომელიც ათასჯერ აღემატება ერთად აღებულ ყორღანაშვილს, ბერბიჭაშვილს, ორჯონიკიძეს და სხვა მისნაირებს – სხვა ვერავინ მოიფიქრებდა იმას, რა მავნებლურ გზებსაც ისინი ეძებენ საქართველოს სახელმწიფოებრიობის დასამხობად და ქართველი ხალხის გასანადგურებლად. არ მგონია, რომ უარყოფითი გადაწყვეტილება იქნას მიღებული, რადგან დასავლეთი არა მხოლოდ საქართველოს სჭირდება, არამედ საქართველოზე მეტად, დასავლეთს სჭირდება საქართველო“,** – დასძინა ედიშერ გვენეტაძემ.

პრემიერ-მინისტრ **ირაკლი კობახიძის** განმარტებით, **„ოპოზიცია და მათი პატრონები ყველა მიმართულებით ცდილობენ, რომ დააზიანონ ჩვენი ქვეყნის ინტერესები. პრემიერ-მინისტრის თქმით, ასეთი ინიციატივებით ოპოზიცია ვერ შეარყევს ქვეყნის პოზიციებს, თუმცა ეს მეტყველებს მათ ბუნებასა და მათი პატრონების ინტერესებზე.**

**მე მინდა, შეგახსენოთ, წლების განმავლობაში, მათ შორის, როდესაც მე ვიყავი ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში ქართული დელეგაციის ხელმძღვანელი, ჩვენ ვაყენებდით ხოლმე რუსული დელეგაციის უფლებამოსილების არცნობის საკითხს სხვა ქვეყნებთან ერთად და მაშინ საპარლამენტო ასამბლეა არ იზიარებდა ხოლმე ჩვენს პოზიციას. დღეს აბსოლუტურად ღიმილისმომგვრელია, როდესაც პრორუსულობის საბაბით რადიკალური ოპოზიცია და მათი პატრონები ცდილობენ, ქართულ დელეგაციას შეუჩერონ მანდატი. ასეთი ინიციატივები არის აბსოლუტურად ანტიქართული, თუმცა ამითაც ვერავითარ ზიანს ისინი საქართველოს ეროვნულ ინტერესებს ვერ მიაყენებენ“**, – განაცხადა პრემიერმა.

**ნიკო ჩოხელი**

# თურქეთში საცხოვრებელი კორპუსი ჩამოინგრა – არის მსხვერპლი

**თურქეთში** ოთხსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის ჩამონგრევის შედეგად ორი ადამიანი დაიღუპა. ინფორმაციას ამის შესახებ ადგილობრივი მედია ავრცელებს.

მედიის ცნობით, 15-საათიანი სამაშველო სამუშაოების შემდეგ,



მაშველებმა ნანგრევებში ორი ადამიანის ცხედარი იპოვეს.

ადგილობრივ მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, ნგრევის დროს შენობაში ხუთი ადამიანი იმყოფებოდა, მაშველებმა სამის გადარჩენა მოახერხეს. დაშავებულები საავადმყოფოში თურქეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა ალი იერლიკაიამ მოინახულა.

„საბედნიეროდ, მაშველებმა გადაარჩინეს ჩვენი სამი და-ძმა. ისინი ამჟამად საავადმყოფოში არიან“, – წერს ალი იერლიკაია სოციალურ ქსელში.

მედიის ინფორმაციით, გამოძიების ფარგლებში ოთხი ადამიანი დააკავეს. ეჭვმიტანილებიდან ორი ადამიანი შენობის პირველ სართულზე არსებული მაღაზიების მესაკუთრეა, დანარჩენები კი მაღაზიების ოპერატორები.

**ევროპული** გამოცემა **„იეროფიენ თაიმსი“** (The European Times) აქვეყნებს სტატიას სათაურით **„ვინ არის საქართველოში დაკავებული და საფრანგეთის მართლმსაჯულების მიერ ძებნილი იოგას მასწავლებელი ქალი ადინა სტოიანი?“** (ავტორი – **ვილი ფოტრე,** ბრიუსელში არსებული ადამიანის უფლებების დამცველი არასამთავრობო ორგანიზაცია **Human Rights Without Frontiers-ის (HRWF)** დირექტორი, განსაკუთრებით იცავს ქალების, ეთნიკური და რელიგიურ უმცირესობების წარმომადგენლების, აგრეთვე ლგბტ ადამიანების უფლებებს).

**გთავაზობთ პუბლიკაციას შემოკლებით.**

**2024 წლის** 20 და 26 დეკემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს




**The European Times**

# ვინ არის საქართველოში დაკავებული ადინა სტოიანი?

სხდომებზე განიხილეს ექსტრადიციის საკითხი – უნდა გადასცეს თუ არა საქართველომ საფრანგეთს ინტერპოლის მიერ გაცემული ორდერის საფუძველზე 2024 წლის აგვისტოში თურქეთ-საქართველოს საზღვარზე დაკავებული ადინა სტოიანი და მისი მეუღლე მიხაი.

დეკემბრის შუა რიცხვებიდან რამდენიმე დღე ვიყავი თბილისში **The European Times** დავალებით, საპარლამენტო არჩევნების სადაო შედეგებისა და ახალი პარლამენტის მიერ ახალი პროკრემლური პოზიციის მქონე პრეზიდენტის არჩევის შემდეგ ქვეყანაში შექმნილი არასტაბილური პოლიტიკური ვითარებისა და დემონსტრაციების გასაშუქებლად. გამოვიყენე თბილისში ყოფნის შესაძლებლობა, რომ შევხვედროდი სახელმწიფოსა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს, ასევე ცოლ-ქმარ სტოიანების საქმეში ჩართულ იურისტებს და შემეგროვებინა რამდენიმე გამოუქვეყნებელი ინფორმაცია წყვილის შესახებ.




მეორე მოსმენის დასასრულს, რომელიც ჩემი საქართველოდან წასვლის შემდეგ გაიმართა, სასამართლომ დაადგინა, რომ საკითხის საბოლოოდ გადასაწყვეტად აუცილებელი იყო მესამე მოსმენაც, მანამდე კი უნდა მომხდარიყო ბეჭდურ-წერილობითი სასამართლო დოკუმენტების რუმინულ ენაზე თარგმნა, რასაც ადინა და მიხაი სტოიანები და მათი იურისტები მოითხოვდნენ, სასამართლო ხელისუფლების მიერ მანამდე დაწესებული ინგლისური ენის ნაცვლად.

სასამართლომ მიიჩნია, რომ მიხაი და ადინა სტოიანები საკმარისად ფლობდნენ ინგლისურს მათი საერთაშორისო საქმიანობის გამო, მაგრამ მათი საპირისპირო არგუმენტი იყო, რომ სამართალწარმოების დროს გამოყენებული და ინგლისურ ენაზე თარგმნილი იურიდიული და სასამართლო ენა მათთვის უცხო იყო და მათ წარუმატებლობის საფრთხის წინაშე აყენებდა – იმის გასაგებად, თუ რას უნდა მოაწერონ ხელი.

რთულია საკითხების აღქმა და მათი გაცნობიერება ორმაგი თარგმანის დროს – ჯერ ქართულიდან ინგლისურად, თარჯიმნის მიერ და შემდეგ უკვე საკუთარ ენაზე (რუმინულად) – საკმაოდ რთულია. ადვოკატები ამტკიცებდნენ, რომ ორმაგი თარგმანის დროს დიდია უზუსტობების დაშვებისა და გაუგებრობების წარმოქმნის ალბათობა და შესაბამისად, არ არის გამორიცხული მართლმსაჯულების შეცდომა, რომლის მსხვერპლნი მიხაი და ადინა სტოიანები იქნებოდნენ.

### ადინა და მიხაი სტოიანების დაკავება

**2023 წლის** 28 ნოემბერს, დაახლოებით 175 პოლიციელისგან შექმნილი სპეცჯგუფის წევრები, შავი ნიღბებით, ჩაფხუტებითა და ტყვიაგაუმტარი ჟილეტებით, დილის 6 საათზე ერთდროულად შევიდნენ რვა სახლის ბინებში პარიზში და მის გარშემო, ასევე ნიცაში, სადაც რუმინელმა იოგას პრაქტიკოსებმა გადაწყვიტეს შესვლა.

რუმინელი იოგას პრაქტიკოსთა უმეტესობამ აირჩია საფრანგეთში სასიამოვნოსა და სასარგებლოსთან შერწყმა. მათ შორის იყვნენ **IT** ექსპერტები, ინჟინრები, დიზაინერები, მხატვრები, ექიმები, ფსიქოლოგები, მასწავლებლები, უნივერსიტეტისა და საშუალო სკოლის სტუდენტები და ა.შ.

2023 წლის 28 ნოემბრის რეიდები არ იყო ოპერაცია ტერორისტული ან შეიარაღებული ჯგუფის ან ნარკოტიკების კარტელის წინააღმდეგ. ეს იყო რეიდი, რომელიც მიმართული იყო, პოლიციის ეჭვებით, ისეთი ადგილების წინააღმდეგ, რომლებიც უკანონო ქმედებებისთვის გამოიყენებოდა: ადამიანებით ვაჭრობისათვის, სექსუალური ექსპლუატაციისათვის და იძულებითი პატიმრობისათვის.

ცოლ-ქმარ სტოიანების დაპატიმრების ორდერი, რომელიც პარიზიდან თბილისში ინტერპოლის მეშვეობით იქნა გადაცემული, მოიცავდა იმავე ბრალდებებს, თუმცა ისინი არ იმყოფებოდნენ საფრანგეთში პოლიციის რეიდების დროს ან მანამდე, არასოდეს ჰქონიათ იოგას საქმიანობა საფრანგეთში და არცერთ იოგას არ შეუტანია საჩივარი. ფრანგულ მედიაში ისინი არაერთხელ დახატეს კრიმინალებად, ყოველგვარი მტკიცებულების გარეშე, რაც ჟურნალისტებს თავად შეეძლოთ შეეგროვებინათ.

### ადინა სტოიანის ოჯახი და სოციალური ფონი

**ადინა სტოიანი** დაიბადა 1968 წლის 12 ივნისს ქალაქ სიბიუში (რუმინეთი). იგი გაიზარდა ბუქარესტში ნიკოლაე ჩაუშესკუს კომუნისტური მმართველობის დროს, მაგრამ მოინათლა მართლმადიდებლურ ეკლესიაში. დედამისი ტრანსპორტის სამინისტროს ბუღალტერი იყო. მამამისი ბუქარესტის პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში სწავლობდა და შემდეგ სამხედრო კარიერა გაიკეთა.

სწავლაში ადინა მამის კვალს გაჰყვა. 1991 წელს დაამთავრა პოლიტექნიკური უნივერსიტეტი სატრანსპორტო ინჟინერის სპეციალობით. ამის შემდეგ მან დაახლოებით ორი წელი იმუშავა რუმინეთში, ტრანსპორტის სამინისტროს კომპიუტერულ ცენტრში, მოგვიანებით კი საკუთარი თავი მხოლოდ სულიერებას მიუძღვნა, ასწავლიდა იოგას და ატარებდა ტრანტრას გაკვეთილებს. მას ჰყავს და – კორინა, რომელმაც დაამთავრა ბუქარესტის უნივერსიტეტი მათემატიკის სპეციალობით. კორინა გარკვეული პერიოდის განმავლობაში მათემატიკას ასწავლიდა, მოგვიანებით კი სხვა სფეროებში დაიწყო მუშაობა, ხოლო თავისუფალ დროს იოგას ასწავლიდა ბოლო ათი წლის განმავლობაში.

* * *

**ადინა** და მიხაი სტოიანები 2001 წელს რუმინეთის მართლმადიდებლურ ეკლესიაში დაქორწინდნენ და ერთი წლის შემდეგ დანიაში გადავიდნენ. როგორც იოგას მასწავლებლები, ისინი მუშაობდნენ დანიის იოგა ნატა ცენტრში. (...) ადინა სტოიანმა ასევე წაიკითხა ლექციები ისეთ თემებზე, როგორიცაა ჰორმონები, პრემენსტრუალური სინდრომი, ეზოთერული ასტროლოგია, სპეციალურად ქალებისთვის.

ადინა ეწინააღმდეგება საფრანგეთში მისი და მეუღლის ექსტრადირებას და ამბობს, რომ არ იყო ჩართული იქ იოგას აქტივობებში და არალეგალურ საქმიანობაში, როგორც ეს ინტერპოლის დაკავების ორდერშია ნახსენები, არაფერი აქვს საერთო 2023 წლის 28 ნოემბერს იოგას ცენტრებში პოლიციის მასობრივ დარბევასთან, რამაც გამოიწვია მისი დაკავება და წინასწარი პატიმრობა საქართველოში. სხვათა შორის, არც ერთ იოგას არ შეუტანია საჩივარი მისი ან მის ქმრის წინააღმდეგ.

წყარო: **https://europeantimes.news/2025/01/who-is-adina-stoian-female-yoga-teacher-georgia-french-justice/**

მოამზადა
**სიმონ კილაძემ**

# 2024 წელს გამოცემული წიგნების წარდგენა ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში



**კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში 2024 წელს გამოცემული წიგნების წარდგენა გაიმართა. ინფორმაციას ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი ავრცელებს.**

ღონისძიება ცენტრის დირექტორმა ზაზა აბაშიძემ გახსნა. მან მადლობა გადაუხადა ცენტრის მკვლევრებს, გამოცემების ავტორებსა და რედაქტორებს. ასევე აღნიშნა, რომ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საქმიანობა ემსახურება ქართული მწერლობის, კულტურისა და ისტორიის მნიშვნელოვანი საკითხების კვლევას, დაცვასა და პოპულარიზაციას. ცენტრის ხელმძღვანელის განცხადებით, თითოეული ნაშრომი დიდი შენაძენია სამეცნიერო წრეებისათვის.

ახალი გამოცემები ავტორებმა და რედაქტორებმა წარადგინეს.

წარმოდგენილი 17 წიგნი ნათლად ასახავს ცენტრის მრავალმხრივ სამეცნიერო საქმიანობას. გამოცემებში შედის ფილოლოგიურ-კოდიკოლოგიური, ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი, ხელნაწერი წიგნის ხელოვნებისა და ისტორიის და სხვა შინაარსის სამეცნიერო კვლევები, რომლებიც ქართული მწერლობის, ისტორიისა და კულტურის საკითხებს განიხილავს.

აღსანიშნავია, რომ 2024 წელს ცენტრმა პირველად გამოსცა სერია „საარქივო მასალების“ პირველი წიგნი, ალბომი ძველი ქართული სამოსი შალვა ამირანაშვილის არქივიდან. გარდა ამისა, დაიბეჭდა ყოველწლიური პერიოდული გამოცემა მრავალთავის 28-ე ტომი, ისტორიული საბუთების კორპუსის მეხუთე ტომი, ივანე ნანუაშვილის არქივის აღწერილობა, გრანი ქავთარიას ნაშრომი – ქართული სახელმწიფოს სათავეებთან და სხვა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი **როინ მეტრეველი** და შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დირექტორი **თეიმურაზ დოჯვირი**. მისასალმებელ სიტყვაში მათ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილეს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის უმნიშვნელოვანეს როლზე მეცნიერების განვითარებაში, კულტურული მემკვიდრეობის დაცვასა და კვლევების ხელშეწყობაში. მათი შეფასებით, ცენტრი არა მარტო ეროვნული, არამედ საერთაშორისო მნიშვნელობის კვლევითი დაწესებულებაა და მას წლების განმავლობაში დიდი წვლილი შეაქვს სამეცნიერო საქმიანობასა და ქართველოლოგიის სფეროს განვითარებაში.

# როგორები იყვნენ თინეიჯერები 25 000 წლის წინ

**კვლევამ აჩვენა, რომ მყინვარული პერიოდის თინეიჯერებმა 25 ათასი წლის წინაც ისევე გაიარეს პუბერტატი, როგორც ეს თანამედროვე მოზარდებში ხდება. მეცნიერებმა პლეისტოცენის ხანის თინეიჯერებში პუბერტატის მიმდინარეობა შეისწავლეს და ადრეული ადამიანების ზრდაზე ღირებული ინფორმაცია მოიპოვეს. ნაშრომი გამოცემაში ჟურნალ of Human Evolution გამოქვეყნდა.**

მეცნიერებმა დასკვნები ძვლების მიხედვით გააკეთეს, რომლებიც 10-იდან 20 წლამდე ასაკის 13 ადამიანს ეკუთვნოდა. ძვლებში კონკრეტული ნიშნები აღმოაჩინეს, მათ საფუძველზე კი მოზარდობის პროგრესირება შეაფასეს.

„ჩონჩხის კონკრეტული ნაწილები შევისწავლეთ და ამით დავასკვენით, მაგალითად, როდის დაეწყო მოზარდს მენსტრუაცია ან როდის დაუბოხდა ხმა“, – აცხადებს პალეოანთროპოლოგი ეიფრილ ნოუელი, კვლევის ერთ-ერთი ხელმძღვანელი.

ტექნიკა კვლევის ხელმძღვანელმა მერი ლუისმა შეიმუშავა. მისი მეთოდი კბილების მინერალიზაციას აფასებს; ადგენს ხელის, იდაყვის, მაჯის, კისრისა და მენჯის ძვლების სიმწიფეს, რათა გაირკვეს, პუბერტატის რა ეტაპამდე იყო მისული ადამიანი სიკვდილის მომენტში.

მიჩნეულია, რომ პრეისტორიულ ხანაში სიცოცხლე არახელსაყრელი, სასტიკი და ხანმოკლე იყო. მიუხედავად ამისა, ახალი კვლევა აჩვენებს, რომ თინეიჯერები რეალურად საკმაოდ ჯანმრთელები იყვნენ. გამოკვლეული ინდივიდებიდან უმეტესობამ პუბერტატში 13.5 წლის ასაკში შეაბიჯა, ზრდასრულობას კი 17-იდან 22 წლამდე მიაღწია. ეს აჩვენებს, რომ მყინვარული



პერიოდის მოზარდებსაც დაახლოებით მაშინ ეწყებოდათ პუბერტატი, როცა თანამედროვე მოზარდებს ეწყებათ მდიდარ ქვეყნებში.

13 ჩონჩხიდან ერთ-ერთი „რომიტო 2-ს“ ეკუთვნოდა. მამრობითი სქესის ეს მოზარდი მეცნიერებისთვის ნაცნობი პირველი ადამიანი უნდა იყოს, რომელსაც დვარფიზმის ერთ-ერთი ფორმა ჰქონდა. რომიტოს პუბერტატის კვლევით მისი შესახედაობისა და სოციალური როლის შესახებაც მოიპოვეს ინფორმაცია.

ბიჭს პუბერტატი სანახევროდ უკვე ჰქონდა გავლილი, ამიტომ, სავარაუდოდ, შედარებით ბოხი ხმა ექნებოდა და შვილების ყოლასაც შეძლებდა; მეორე მხრივ, სახეზე თხელი თმით ახალგაზრდული შესახედაობა ექნებოდა. სიდაბლის გამო იგი გარეგნულად ბავშვს უნდა მგვანებოდა. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამას გავლენა ექნებოდა იმაზე, თუ როგორ აღიქვამდა ბიჭს თემი.

„კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაცია, რომელიც გამყინვარების ეპოქის მოზარდთა ფიზიკურ მახასიათებლებსა და განვითარების ეტაპებს ეხება, ახალ გზას გვთავაზობს მათი დამარხვისა და სიკვდილის შემდგომი მოპყრობის ინტერპრეტაციისთვის“, – დასძენს არქეოლოგი ჯენიფერ ფრენჩი.

# მეცნიერებმა ცუდი მოგონებების წაშლის მეთოდს მიაგნეს



**ცუდი** მოგონებებისა და ტრავმული მოვლენების წაშლის შესაძლებლობა შეიძლება სხვადასხვა ფსიქიკური პრობლემების მოგვარებაში დაგვეხმაროს. და, აი, ახლა მეცნიერებმა ამის გასაკეთებლად ახალი პერსპექტიული მეთოდი აღმოაჩინეს – უარყოფითი მოგონების შესუსტება პოზიტიური მოგონების ხელახალი გააქტიურებით.

ექსპერიმენტში, რომელიც რამდენიმე დღის განმავლობაში გაგრძელდა, მკვლევრებმა 37 მონაწილეს სთხოვეს დაეკავშირებინათ შემთხვევითი სიტყვები ნეგატიურ სურათებთან. ამის შემდეგ მოგონებების ნახევრის „გადაპროგრამირება“ სცადეს და ისინი დადებით მოგონებებთან და კავშირებს.

„ჩვენ აღმოვაჩინეთ, რომ ამ პროცედურამ შეასუსტა ავერსიული მეხსიერება და გაზარდა დადებითი მეხსიერება“ – აღნიშნეს მკვლევრებმა.

კვლევისთვის ჯგუფმა გამოიყენა სურათების მონაცემთა ბაზები, რომლებიც კლასიფიცირებულია როგორც ნეგატიური ან დადებითი. მაგალითად, ადამიანის დაზიანებები ან სახიფათო ცხოველები შედარებულია მშვიდ პეიზაჟებთან და მომღიმარ ბავშვებთან.

კვლევის პირველ საღამოს მეხსიერების სავარჯიშოები გამოიყენეს, რათა მონაწილეებს ნეგატიური გამოსახულებები კვლევისთვის შექმნილ სიტყვებისთვის დაეკავშირებინათ. მეორე დღეს მოგონებების გასამყარებლად, მკვლევრებმა სცადეს ამ სიტყვების ნახევარი მონაწილეთა გონებაში დადებით სურათებთან დაეკავშირებინათ.

მეორე ღამის განმავლობაში (NREM Zilis fazaSi) მონაწილეებს გამოგონილ სიტყვებს ასმენინებდნენ. ცნობისთვის NREM ფაზა მეხსიერების ჩამოყალიბებასთან არის დაკავშირებული. მეცნიერები კვლევის მონაწილეების ტვინის აქტივობის მონიტორინგს ელექტროენცეფალოგრაფიის გამოყენებით ახორციელებდნენ.

ტვინში ისეთი აქტივობა დაფიქსირდა, რომელიც ემოციური მეხსიერების დამუშავებასთან არის დაკავშირებული. ეს აქტივობა გაიზარდა აუდიომეხსიერების გააქტიურებისას და მნიშვნელოვნად მაღალი იყო დადებით მახსოვრობასთან დაკავშირებული მახასიათებლებისას.

რამდენიმე დღის შემდეგ, მკვლევრებმა კითხვარების მეშვეობით დაადგინეს, რომ მოხალისეები ისეთ უარყოფით მოგონებებს ნაკლებად იხსენებდნენ, რომლებიც შერეული იყო პოზიტიურთან. საინტერესოა, რომ პოზიტიური მოგონებები უფრო ხშირად ჩნდებოდა მათ გონებაში, ვიდრე ნეგატიური.

„ეს ნიშნავს, რომ არაინვაზიური ძილის ინტერვენცია შესაძლებელია და მას შეუძლია შეცვალოს ავერსიული მეხსიერება. ამას შეუძლია შემოგვთავაზოს ახალი შეხედულებები ტრავმებთან დაკავშირებული მეხსიერების მკურნალობის მხრივ“, — აღნიშნულია კვლევაში.

თუმცა, კვლევა ჯერ ახალია და მას გადამოწმება კიდევ სჭირდება. ასევე გასათვალისწინებელია, რომ ცუდ მოგონებასთან დაკავშირებული ვიზუალის გონებიდან „წაშლა“ შეიძლება უფრო ადვილი იყოს, ვიდრე ტრავმული მოვლენის.

ჩვენ ვიცით, რომ ტვინი მოგონებებს ძილის დროს მათი ხანმოკლე გამეორებით ინახავს და ბევრმა კვლევამ უკვე შეისწავლა, თუ როგორ შეიძლება ამ პროცესის გაკონტროლება. ამით შეიძლება დადებითი მოგონებების გააქტიურება და ცუდი მოგონებების დავიწყება.

ეს მეხსიერების რედაქტირების კიდევ ერთი საინტერესო საშუალებაა. ყველაფერი ამის გაერთიანებით მკვლევრებს მიაჩნიათ, რომ მალე მოგონებებზე კონტროლი შეგვეძლება და ამით ტრავმული მოვლენებისგან ჩვენი ფსიქიკის დაცვას შევძლებთ.

# იტალიაში 19 ქართველი ქალი დააკავეს

**ყალბი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების ფლობისა და დამზადებისთვის იტალიაში 19 ქართველი ქალი დააკავეს. ისინი იქ მომვლელებად მუშაობდნენ. ინფორმაციას უდინეს პროკურატურა ავრცელებს.**

**დამატებით კიდევ 17 ქალის წინააღმდეგ საჩივარია შესული და მათ მიმართ ასევე მიმდინარეობს საქმის წარმოება.**

**გამოძიების დაწყების საფუძველი, ფისკალური კოდის მისაღებად, უდინეს შემოსავლების სამსახურისათვის ქართველების მიმართვიანობის მნიშვნელოვანი ზრდა გახდა.**

**ყველა მათგანს ევროკავშირის ქვეყნების პირადობის დამადასტურებელი მოწმობები ჰქონდათ – სლოვაკეთის, პოლონეთის, ლიეტუვის, რომლებიც იტალიაში ცხოვრებასა და მუშაობას არ კრძალავს.**

* * *

**სამართალდამცველების ცნობით, თავდაპირველად, ყალბი პირადობებით, ეს ადამიანები უდინეს შემოსავლების სააგენტოში ამზადებდნენ ფისკალურ კოდს და შემდეგ, სხვა რეგიონებში გადადიოდნენ სამუშაოდ. უდინეს საგამოძიებო უწყება დაეჭვდა, რომ დოკუმენტები ყალბი იყო.**

**თაღლითური სქემის დადასტურების შემთხვევაში ქართველებს იტალიიდან გამოაძევებენ.**

# სამი ნიშანი, რითაც აუტიზმის ამოცნობა ადრეულ ასაკში შეგვიძლია!



**ყველაზე** მნიშვნელოვანი სამი ნიშნიდან, რომლებითაც 18 თვემდე აუტიზმის ამოცნობა შეგვიძლია, პირველია, როცა ბავშვი თავის სახელზე არ იხედება, – თქვა ბავშვთა ნევროლოგმა, პროფესორმა ნანა ტატიშვილმა გადაცემაში „პირადი ექიმი“.

ყველაზე მნიშვნელოვანი სამი ნიშნიდან, რომლებითაც 18 თვემდე აუტიზმის ამოცნობა შეგვიძლია, პირველია, როცა ბავშვი თავის სახელზე არ იხედება. 10 დაძახებიდან, მინიმუმ, 6-7-ჯერ უნდა გამოგვხედოს. მეორე ნიშანი არის ის, რომ საჩვენებელ თითს მისათითებლად არ იყენებს. მესამე ნიშანია ის, რომ ჩვენს მითითებულ თითზე თავს არ ატრიალებს და არ უყურებს. 14-16 ან 18 თვის ბავშვს თუ ეს 3 ნიშანი შეამჩნიეთ, აუცილებლად მიაკითხეთ ექიმს. არ დაეთანხმოთ იმ მოსაზრებას, რომ თავისით გამოსწორდება. თავისით არ გამოსწორდება. სჯობს, გადაჭარბებულად ვიმუშაოთ და შევაფასოთ, ვიდრე გამოგვეპაროს და ამ ნიშნების ამოცნობა დაგვიანდეს, – თქვა ნანა ტატიშვილმა.

◉ სეზონთა მიჯნაზე

# ჯილდოების, მხარდაჭერაც

**საქართველოს სპორტის მინისტრი შალვა გოგოლაძე 2024 წლის წარმატებულ ქართველ ავტომრბოლელთა გალა-დაჯილდოებას დაესწრო, რომელიც საავტომობილო სპორტის ფედერაციის ორგანიზებით გაიმართა. ღონისძიებას ესწრებოდა მინისტრის პირველი მოადგილე ირაკლი მეძმარიაშვილიც. შალვა გოგოლაძემ ნომინაციაში – „წლის საუკეთესო მრბოლელი“ – გამარჯვებული სანდრო თავართქილაძე დააჯილდოვა. ღონისძიებაზე გამოვლინდნენ სხვა ნომინაციებში გამარჯვებულნიც.**

ქართული ავტოსპორტის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის მადლობის სიგელი გადაეცა საქართველოს სპორტის სამინისტროს.

დაჯილდოების ცერემონიაზე გამოცხადდა, რომ ახალგაზრდა ქართველი ავტომრბოლელები **გიორგი წამალაშვილი** და **ზაზა პიპნაძე**, საქართველოს სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით, საქართველოს სახელით მონაწილეობას მიიღებენ 2025 წლის მსოფლიო საავტომობილო ფედერაციის აკადემიის თასის გათამაშებაში.



2025 წელს დაიწყება საქართველოს ჩემპიონატი ძარიან ავტომობილებს შორის, რომლისთვისაც სამინისტრომ ფედერაციას 10 ავტომობილი გადასცა. ამ ავტომობილებით ტურნირში ქართველი მრბოლელები იასპარეზებენ.

იმავე დღეს მინისტრი საამაყო ქართველ პარასპორტსმენებსაც შეხვდა. შალვა გოგოლაძემ მადლობა გადაუხადა ჯვაროსან პარალიმპიელებს შარშანდელი პარიზული ტრიუმფისთვის და მომავალშიც წარმატებული კარიერა უსურვა.

◉ ამაგი

# მადლიერების ნიშნად

**გაიმართა არაოლიმპიურ სახეობებში 2024 წლის 10 საუკეთესო ქართველი სპორტსმენის დაჯილდოება.**

საუკეთესო ფედერაციები სპორტულმა ჟურნალისტებმა გამოავლინეს, საუკეთესო სპორტსმენები კი – შესაბამისმა ფედერაციებმა.

იმავე დღეს საფუძველი ჩაეყარა **ბადრი პატარკაციშვილის** სახელობის ჯილდოსაც, რომელიც გადაეცა სამი სპორტული კატეგორიის გამარჯვებულს.

ღონისძიება საქართველოს სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით გაიმართა.



◉ ლეგიონერები

# პარიზშიც, ბოლონიაშიც...

**განვლილ კვირაში ევროპაში რამდენიმე ქართული შეხვედრა გაიმართა, რასაც, ბუნებრივია, გვერდს ვერ ავუვლით.**

ჯერ იყო და პარიზში **სანდრო მამუკელაშვილი** და **ხვიჩა კვარაცხელია** ჩემპიონთა ლიგაში პარი სენ-ჟერმენისა და სიტის მატჩს დაესწრნენ, რომლის შემდეგაც სამახსოვრო ფოტო გადაიღეს. საქართველოს კალათბურთელთა ეროვნული ნაკრების ლიდერთაგანი საფრანგეთის დედაქალაქში ნბა-ს რეგულარული სეზონის ბრძოლის გასამართავად სან ანტონიოსთან ერთად იმყოფებოდა, რომელშიც ტეხასურმა კლუბმა ინდიანა 140:101 დაამარცხა, ჯვაროსანმა კი 11 წუთში პარტნიორებს 6 ქულა, 5 მოხსნა, 3 ასისტი, 1 ჩაჭრა და 1 დაფარება შეაშველა.




შემდეგ უკვე ევროლიგის ჯერი დადგა, სადაც 23-ე ტურში **თორნიკე შენგელიას** ვირტუს ბოლონია ბოლო პერიოდის კრახის (18:30) შედეგად **მანუჩარ მარკოიშვილის** გაწვრთნილ მონაკოსთან 80:86 დამარცხდა. მასპინძელთა საკვანძო ფიგურამ 24 წუთში 15 ქულა, 5 მოხსნა და 3 ასისტი დააგროვა. 31 იანვარს იტალიელები სტამბოლში ფენერბახჩეს ეწვევიან.

**რაც შეეხება კვარას ფრანგულ დებიუტს, მეკარის გარდა თითქმის ყველა პოზიციაზე ითამაშა, დემბელეს საგოლე პასით ანგარიშიც გაახსნევინა და, რაც მთავარია, სრულად გამოავლინა უსაზღვრო ტალანტი. რეიმსთან შინ ფრედ – 1:1 დასრულებული მატჩის შემდეგ ხვიჩას ფართო დიაპაზონით აღტაცებას ვერ მალავდა პარი სენ-ჟერმენის თავკაცი ლუის ენრიკეც. შეხვედრის შედეგს კი ნუ გაიკვირვებთ – მასპინძლები გონებით ზეგ გერმანიაში შტუტგარტთან ჩემპიონთა ლიგის გადამწყვეტ ბრძოლაში იყვნენ ჩაზმულნი, რის გამოც გუნდის რამდენიმე ლიდერს ესპანელმა თავკაცმა დასვენების საშუალება მისცა, თუმცა პსჟ მაინც დიდ უპირატესობას ინარჩუნებს ლიგა–1-ის სატურნირო ცხრილში.**

◉ ევროპის ლიგა

# აქაც ინტრიგა...

**რამდენიმე დღეც და დასრულდება რანგით მეორე კონტინენტური საკლუბო საფეხბურთო ტურნირის პირველი ეტაპი, სადაც, ჩემპიონთა ლიგის მსგავსად, საქართველო რამდენიმე ლეგიონერითაა წარმოდგენილი.**

მეტიც – **ლაშა ოდიშარიამ** თავიდან ბოლომდე ითამაშა რიგის რფს-ის მიერ შინ ამსტერდამის აიაქსთან ევროპის ლიგის ბოლოსწინა ტურში სენსაციურად მოგებულ შეხვედრაში – 1:0, ხოლო **ლუკა სილაგაძე** საფინალო სასტვენამდე სათადარიგოთა სკამზე დარჩა.

რაც შეეხება ფენერბახჩე – ლიონის უგოლოდ – 0:0 დასრულებულ მატჩს, **ჟორჟ მიქაუტაძემ** 27-ე წუთზე მაკრატელათი ოდნავ ააცილა ბურთი მიზანს და მე-80 წუთზე შეცვალეს.

**სატურნირო ცხრილი:** ლაციო – 19, აინტრახტი, ბილბაო – 16, მანჩესტერი – 15, ლიონი, ტოტენჰემი, ანდერლეხტი, სტიაუა – 14, გალათასარაი, ბოდო გლიმტი – 13, პლზენი, ოლიმპიაკოსი – 12, რეინჯერსი, ალკმაარი, სენტ ჟილი – 11, აიაქსი, პაოკი, სოსიედადი, მიდტიულანდი, ელფსბორგი – 10, რომა ფერენცვაროში, ფენერბახჩე, ბეშიქთაში – 9, პორტუ – 8, ტვენტე, ბრაგა – 7, ჰოფენჰაიმი, მაკაბი – 6, რფს – 5, სლავია, მალმიო – 4, ლუდოგორეცი, ყარაბაღი – 3, ნიცა – 2, კიევის დინამო – 1 ქულა.

**30 იანვარს დასკვნით ტურში ითამაშებენ:** აიაქსი – გალათასარაი, ანდერლეხტი – ჰოფენჰაიმი, რომა – აინტრახტი, ბილბაო – პლზენი, ბრაგა – ლაციო, კიევის დინამო – რფს, სტიაუა – მანჩესტერი, ფერენცვაროში – ალკმაარი, ლიონი – ლუდოგორეცი, მაკაბი – პორტუ, მიდტიულანდი – ფენერბახჩე, ნიცა – ბოდო გლიმტი, ოლიმპიაკოსი – ყარაბაღი, რეინჯერსი – სენტ ჟილი, სოსიედადი – პაოკი, სლავია – მალმიო, ტოტენჰემი – ელფსბორგი, ტვენტე – ბეშიქთაში.

შეგახსენებთ, რომ 8 საუკეთესო გუნდი პირდაპირ გავა პლეი-ოფში, ხოლო მე-9–24-ე ადგილოსნები პლეი-ინში გაითამაშებენ მერვედფინალის საგზურს.

◉ ოქტაგონს მიღმა

# ღირსებას მოუხმეთ!




**თითქოს უკვე უნდა ჩამცხრალიყო ვნებები დვალიშვილ-ნურმაგომედოვის ბრძოლის შემდეგ, მაგრამ ჯერ სადა ხართ.** ამჯერად ასპარეზზე რუსეთის ლეკი წარმომადგენლის მენეჯერი რიზვან მაგომედოვი გამოვიდა და **UFC311**-ის უმსუბუქესი წონის ქართველ გვირგვინოსანთან მისი კლიენტის მარცხზე გაკეთებულ კომენტარში ყველაფერი მეტოქეს და მსაჯებს დააბრალა.

**„უყურადღებოდ ვერ დავტოვებთ იმ ფაქტს, რომ მერაბი მსაჯებზე მუშაობდა. ის ამას ტყუილად არ აკეთებდა, რადგან სურდა ეჩვენებინა, რომ ბრძოლას იგებდა, თუმცა უმარს მნიშვნელოვან ზიანს ვერ აყენებდა და ვერც აკონტროლებდა ჩხუბს. ყველაფერმა ამან საერთო ჯამში თავისი როლი ითამაშა.“**

ამაზე იტყვიან, ბრძოლის შემდეგ მუშტებს აღარ იქნევენო და მწარე რეალობას ვაჟკაცურად უნდა შეეგუო, მით უმეტეს – ამაყი მთიანი კავკასიის შვილი, მაგრამ...

შეგახსენებთ, რომ ნათლისღების დღეს ქართველმა მანქანამ ლოს ანჯელესში მსაჯების ერთსულოვანი გადაწყვეტილებით გაიმარჯვა და ჩემპიონის ქამარი დაიცვა.

◉ კორტზე

# ისიც ადამიანია!..

**უკვე გაუწყეთ, რომ დიდი მუზარადის ტურნირების 24-გზის გამარჯვებულმა ნოვაკ ჯოკოვიჩმა მტკივანი ფეხით გმირული ბრძოლა მოუგო კარლოს ალკარასს და 50-ედ(!) უწია სლემების ნახევარფინალს, ამჯერად – ავსტრალიის ღიაზე.**

ტრავმის გამო გენიალურმა სერბმა ჩოგბურთელმა შეხვედრისწინა ვარჯიში გამოტოვა, მაგრამ ალექსანდრ ზვერევთან საომრად კორტზე მაინც გავიდა.

მეტიც – პირველი სეტი გამაყუჩებლებით მხოლოდ ტაი-ბრეიქზე დათმო – 6:7, თუმცა ამის შემდეგ იძულებული გახდა თამაში შეეწყვიტა – ისიც ხომ ადამიანია!

ვფიქრობთ, დაგაინტერესებთ ნოლეს პასუხი კითხვაზე, რამდენად ნორმალურია საუბარი იმაზე, რომ კარიერას მალე დაასრულებს: **„ხალხი მუდმივად ორჭოფობს და ცდილობს ჩემი მიღწევების დაკნინებას. ასეთია წარმატებულ სპორტსმენთა გზის ნაწილი, რაც მხოლოდ მოტივაციას მმატებს, რათა დავუმტკიცო საკუთარ თავს, რომ ჯერაც შემიძლია დიდ ტურნირებზე გამარჯვება და ჩემპიონის თასის აღმართვა. სწორედ ასეთი მომენტებისთვის განვაგრძობ თამაშს“.**



### ტედროს ადანომ გებრეისუსი:

# საქართველოს წარმატება და ერთგულება გვაძლევს იმედს, რომ შესაძლებელია, მსოფლიო გათავისუფლდეს მალარიისგან

**„საქართველოს წარმატება და ერთგულება გვაძლევს იმედს, რომ შესაძლებელია, მსოფლიო გათავისუფლდეს მალარიისგან“, – ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) გენერალური დირექტორი, ტედროს ადანომ გებრეისუსი საქართველოსთვის, მალარიისაგან თავისუფალი ქვეყნის სტატუსის სერტიფიკატის მინიჭებას გამოეხმაურა.**

როგორც ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ოფიციალურ განცხადებაშია ნათქვამი, საქართველომ მალარიის აღმოფხვრისთვის მიზანმიმართული და მდგრადი ნაბიჯები გადადგა, შედეგად კი, მსოფლიოს იმ 45 ქვეყანასა და 1 ტერიტორიას შორის მოხვდა, რომლებმაც ეს მნიშვნელოვანი ეტაპი გადალახეს და მალარიისგან თავისუფალი სერტიფიცირება მიენიჭათ.

საქართველოს მალარიისგან თავისუფალ ქვეყნად გამოცხადებას დიდ მიღწევად აფასებს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის რეგიონული დირექტორი ჰანს კლუგეც. მისი თქმით, საქართველოს წარმატებით, WHO-ს ევროპის რეგიონი კიდევ ერთი ნაბიჯით მიუახლოვდა მსოფლიოში პირველი, მალარიისგან თავისუფალი რეგიონის სტატუსის მიღებას.

**„ეს შედეგი ძალისხმევის გარეშე არ ჩნდება. ის შესაძლებელი გახდა ჯანდაცვის სფეროში ინვესტიციების, პერსონალის ერთგულებისა და პრევენციის, ადრეული გამოვლენისა და მალარიის ყველა შემთხვევის ეფექტური მკურნალობის მიზანმიმართული ძალისხმევის წყალობით“,** – განაცხადა ჰანს კლუგემ.



ადგილობრივი მალარიისგან თავისუფლად აღიარებისა და ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის სერტიფიცირების მისაღებად, საქართველომ, განაცხადი 2024 წლის აგვისტოში გააკეთა. აღნიშნული სერტიფიცირება იმ შემთხვევაში გაიცემა, თუ დადასტურდება, რომ ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, მალარიის გადაცემის ჯაჭვი გაწყვეტილია, სულ მცირე, უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში.

რამდენიმეთვიანი მუშაობის შემდეგ, WHO-მ, საქართველო, მალარიისგან თავისუფლად აღიარა. როგორც სამუშაო პროცესის დროს, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მალარიის აღმოფხვრისა და სერტიფიცირების ტექნიკური საკონსულტაციო ჯგუფის წევრებმა აღნიშნეს, საქართველოს გააჩნია კარგად ფუნქციონირებადი და სათანადოდ დაფინანსებული ჯანდაცვის სისტემა. მათივე თქმით, აღსანიშნავია, ქვეყანაში, აქტიური თანამშრომლობა კერძო და საჯარო სექტორებს შორის და პოლიტიკური ნება, მალარიისგან თავისუფალი სტატუსის შესანარჩუნებლად.

## კიბოს უჯრედის მკვლელი

**ჩიკაგოს უნივერსიტეტის მეცნიერებმა ჩაატარეს ძალიან სიღრმისეული და დეტალური კვლევა და ახლა ისინი ამტკიცებენ, რომ ცხიმიანი რძის პროდუქტები, საქონლის ხორცი და ცხვრის ხორცი შეიცავს ნივთიერებას, რომელიც ეხმარება კიბოს მკურნალობას.**

მათი კვლევა ახლახან გამოქვეყნდა Nature-ში, მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე სანდო და რეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალში.

რა თქმა უნდა, მეცნიერები არ ამტკიცებენ, რომ კიბოს მკურნალობა მხოლოდ ასეთი პროდუქტებით და წამლებისა თუ მკურნალობის სხვა მეთოდების გარეშეა შესაძლებელი.

კვლევის თანახმად, კიბოს უჯრედების წინააღმდეგ მებრძოლი აქტიური ნივთიერება აღმოჩნდა ტრანსვაქცინური ცხიმოვანი მჟავა. ის შეიწოვება და გროვდება ცხიმებსა და რძეში. აქედან გამომდინარე, ეს ნივთიერება ბევრია კარაქში, ცხიმოვანი რძის პროდუქტებში, საქონლისა და ცხვრის ხორცში, ასევე ბევრია დედის რძეში.

მეცნიერებმა აჩვენეს, რომ ცხიმოვანი მჟავა აუმჯობესებს იმუნური სისტემის სპეციალური უჯრედების უნარს, შეაღწიონ სიმსივნეებში და მოკლას კიბოს უჯრედები.






# მკვლელი — გარდაცვლილის საუკეთესო მეგობარი!



**თბილისში განსაკუთრებული სისასტიკით მოკლული 26 წლის ლევან ჯანგულაშვილი სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ნუკრიანის მცხოვრებია.**

გარდაცვლილის დეიდაშვილი, თენგო მათიაშვილი ჰყვება, რომ ახალგაზრდა კაცი, უახლოესმა მეგობარმა მოკლა და შემდეგ, გამოძიებისათვის კვალის არევა სცადა.

**„გოძიაშვილის ქუჩაზე შეხვდნენ, აიყვანა მიტოვებულ კორპუსში, ლურსმნიანი ფიცრით სცემა და შემდეგ დაბლა გადმოაგდო. კვალის ასარევად, ბენზინი მიასხა, ცეცხლი წაუკიდა და ლიფტის შახტაში ჩააგდო. ჩვენ კვალის ასარევად გვეუბნებოდა, რომ ბოლოს ნახა მისთვის უცნობ პიროვნებასთან ერთად და ამის შემდეგ, აღარაფერი იცოდა. პოლიციამ ნახა სისხლის კვალი და დათვალიერების შემდეგ, იპოვა დამწვარი ცხედარი. ჩემი დეიდაშვილი უკონფლიქტო ბიჭი იყო, ერთ-ერთ რესტორანში მზარეულად მუშაობდა. არაფერი ვიცით, რა გახდა მკვლელობის მიზეზი და რას ეუბნება გამოძიებას“** – ამბობს მათიაშვილი.

შეგახსენებთ, ლევან ჯანგულაშვილის ცხედარს პოლიციამ ორკვირიანი ძებნის შემდეგ მიაგნო. მანამდე, ახალგაზრდა კაცს, პოლიციასთან ერთად, ახლობლები და მეგობრებიც ეძებდნენ.

# განზრახ მკვლელობის ბრალდებით ბათუმში 24 წლის ბიჭი დააკავეს

**პოლიციამ აჭარაში მომხდარი განზრახ მკვლელობა ცხელ კვალზე გახსნა. დაკავებულია ერთი პირი - 2000 წელს დაბადებული გ.თ.**

„გამოძიებით დადგინდა, რომ დაკავებულმა მიმდინარე წლის 24 იანვარს, ბათუმში, ე.წ. სამხედრო დასახლებაში, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, 1986 წელს დაბადებულ დ.მ.-ს ბლაგვი საგნის გამოყენებით, სხეულის სხვადასხვა არეში სასიკვდილო დაზიანებები მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

პოლიციამ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, გ.თ. მომხდარიდან რამდენიმე საათში, ცხელ კვალზე დააკავა“, – აღნიშნულია შსს-ს განცხადებაში.

ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

დანაშაული 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

# წიგნის ქურდები მკაცრად დაისაჯნენ!

### სასამართლომ ევროკავშირის ქვეყნებში არსებული ბიბლიოთეკებიდან ძვირადღირებული წიგნების ქურდობის ფაქტებზე ბრალდებულები დამნაშავეედ ცნო

**„თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და ევროკავშირის ქვეყნებში არსებული ბიბლიოთეკებიდან ძვირადღირებული წიგნების ქურდობის ფაქტებზე ბრალდებული ხუთი პირი დამნაშავედ ცნო“, – ინფორმაციას საქართველოს პროკურატურა ავრცელებს.**

დანაშაულებრივი გეგმის თანახმად, ორგანიზებული ჯგუფის წევრებს საფრანგეთის, გერმანიის, ლატვიის, ლიეტუვის, ესტონეთის, შვეიცარიის, პოლონეთის და ჩეხეთის ეროვნულ და საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკებში წასაკითხად უნდა აეღოთ მე-19 საუკუნის კლასიკოსი მწერლების წიგნები, რასაც ფარულად დაეუფლებოდნენ და მათ, ორიგინალი წიგნების მაღალი ხარისხის ასლებით ჩაანაცვლებდნენ.

აღნიშნული გზით, ორგანიზებული ჯგუფის წევრები 2022-2023 წლებში, ევროპის სხვადასხვა ქალაქების ბიბლიოთეკებიდან ასეულობით ათასი ევროს ღირებულების წიგნებს ფარულად დაეუფლნენ.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ყველა ბრალდებული ცნო დამნაშავედ და სამ მათგანს 5-5 წლით, ერთს კი 4 წლით და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა, ხოლო ერთ-ერთ ბრალდებულთან, სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდების მხარესთან აქტიური თანამშრომლობის გათვალისწინებით, შედგა საპროცესო შეთანხმება და სასჯელად პირობითი მსჯავრი განესაზღვრა.

საზოგადოებას შევახსენებთ, რომ აღნიშნულ საქმეზე გამოძიება ევროჯასტის მხარდაჭერით შექმნილმა საერთაშორისო საგამოძიებო ჯგუფმა ჩაატარა, რომელშიც ჩართულნი იყვნენ ევროკავშირის ქვეყნების საგამოძიებო უწყებების წარმომადგენლები“.

# „ეს გაფრთხილებაა მჩაგვრელებისთვის“!

### საზოგადოებრივ ტრანსპორტზე კიბერთავდასხმა ჰაკერულ ჯგუფ Anonymous-სთან აფილირებულმა ქართველმა ჰაკერებმა განახორციელეს



**საზოგადოებრივ ტრანსპორტებში კიბერთავდასხმაზე პასუხისმგებლობას ჰაკერული ჯგუფი Anonymous იღებს. პლატფორმა X-ის საკუთარ გვერდზე Anonymous-ი წერს, რომ 24 იანვარს საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემაზე კიბერთავდასხმა მათთან აფილირებულმა ქართველმა ჰაკერებმა განახორციელეს.**

„ეს გაფრთხილებაა მჩაგვრელებისთვის – თქვენი დანაშაულები უპასუხოდ არ დარჩება“, – ასეთია ჰაკერების მთავარი გზავნილი.

ავტობუსებსა და მიკროავტობუსებში გადახდის აპარატებში საქართველოს და ევროკავშირის ჰიმნები, ასევე, პოლიტიკოსების სხვადასხვა შინაარსის ხმოვანი შეტყობინებები 24 იანვრის დილიდან იყო ჩართული. თბილისის მერიამ აპარატები დროებით საერთოდ გათიშა, მოგვიანებით კი აღადგინა. ფაქტთან დაკავშირებით დაწყებულია გამოძიება კომპიუტერულ სისტემაში არამართლზომიერი შეღწევის მუხლით.

# სავალალო სტატისტიკა



**„ავარიებით წელიწადში ერთი სოფლის მოსახლეობის რაოდენობა იღუპება“, - ამის შესახებ „ბიზნესპრესნიუსთან“ ეკონომისტი სოსო არჩვაძე აცხადებს.**

შინაგან საქმეთა სამინისტროს 2024 წლის 9 თვის მონაცემების მიხედვით, ქვეყნის მასშტაბით 1 563 ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა, რის შედეგადაც დაშავდა 2 045 და გარდაიცვალა 125 ადამიანი. თუ გადავხედავთ გასული 5 წლის მონაცემებს, ყოველწლიურად ავარიის შედეგად გარდაცვლილი ადამიანების რაოდენობა 400-450-ის ფარგლებში მერყეობს.

# ტრაგედია ვარკეთილში

**ვარკეთილში მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევას ახალგაზრდა კაცის სიცოცხლე ემსხვერპლა.**

დაღუპული 35 წლის ბექა მგალობლიშვილია, მას 3 შვილი დარჩა.

**„სუნთქავდა სასწრაფომ რომ წაიყვანა... ძალიან კარგი ადამიანი დაიღუპა 3 შვილის მამა...“,** – წერენ სოციალურ ქსელში.



## ქართველთა მნათობი

### მოდიოდა ნინო მთებით

ლურჯ მწვერვალებს
ქარი რძისფერ ნისლში ხვევდა...
და, როდესაც ბარში ვარდნი ყვაოდნენ,
თოვლი იდო ჯავახეთის მთათა ზედა
და ტყეებში ქარიშხლები ბღაოდნენ...
მოჰკიოდა, ქარი ღრუბლებს მოჰკიოდა
და ფარავანს ტბასა ზედა ძრწოდა ქარი...
მოდიოდა, ნინო მთებით მოდიოდა
და მოჰქონდა სანატრელი ვაზის ჯვარი...
თოვლის მთებით ჰკვირდებოდა უცხო მგზავრი, –
ვის უნახავს ვარდობისას თოვლი მთებზე?
მწყემსსა ჰკითხა: რომელია ქართლის გზაი?
მწყემსმა უთხრა: საქართველო არის ესე...
მიემინა... ერთ წალკოტში მიემინა
და ფშატებმა მზისგან მოუჩრდილეო;
ეს ვინ არი, გამოცხადდა მგზავრის წინა?
„ნუ გეშინინ!“ – ეუბნება იესო...
გაეღვიძა... წუთით იგრძნო მშობლის სევდა,
მაგრამ რწმენა ავალებდა რაოდენს?
თოვლი იდო ჯავახეთის მთათა ზედა
და ტყეებში ქარიშხლები ბღაოდნენ...

**ანა კალანდაძე,**
**1954.**

## გილოცავთ ნინოობას!

**27 იანვარს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იხსენიებს ქალწულ ნინოს, ჩვენს წმინდა დედას, მოციქულთა თანასწორსა და ქართველთა განმანათლებელს.**

საქართველო ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა. სულიწმინდის მადლის მოფენის შემდეგ მოციქულებმა წილი ჰყარეს, თუ ვის რომელი ქვეყანა უნდა რგებოდა საქადაგებლად, ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს ხვდა იბერია, მაგრამ, როდესაც დედა ღვთისამ საქართველოსკენ დააპირა წამოსვლა, მას ანგელოზი გამოეცხადა და უთხრა: „ნუ განეშორები იერუსალიმს, შენი ხდომილი ქვეყანა განათლდების მომავალში, შენი მეუფება განემტკიცების იქ“.

ნიშანდობლივია ის, რომ ყოვლადწმინდა ღვთისმშობელმა მარიამმა კეთილმორწმუნე კაბადოკიელი ასული – ნინო გამოარჩია, რომელსაც ოცნებად ჰქონდა გადაქცეული იმ ქვეყნის ნახვა, სადაც მაცხოვრის წმინდა კვართი ინახებოდა და ევედრებოდა ღვთისმშობელს, დახმარებოდა ამ წმინდა აზრის განხორციელებაში.

ქალწულ ნინოს კეთილად აუხდა ოცნება – ძილში მას გამოეცხადა ღვთისმშობელი და უთხრა: „გაემგზავრე იბერიაში, დაამკვიდრე იქ სახარება და მე ვიქნები შენი შემწე“. შემდეგ ვაზის ტოტების ჯვარი გადასცა და თან დასძინა: „ეს იქნება შენი მფარველი გაჭირვებაში, ყოველი ხილული და უხილავი მტრის წინააღმდეგ... ძალითა მისითა დაამყარებ იქ სიტყვას ძისა ჩემისასა, უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი“. სწორედ ამ ჯვარმა უწინამძღვრა წმინდა ნინოს!

ნინოობაზე წმინდა ნინოს ჯვარს საკათედრო ტაძრიდან გამოაბრძანებენ და სამების ტაძარში დააბრძანებენ, რათა მრევლი ეამბოროს და თაყვანი სცეს მას.

**გიული ლიპარტია**

# დიდი შანსონიეს იუბილე თბილისში

**შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნულ თეატრში შარლ აზნავურის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი კონცერტი გაიმართა**




**„ფესვებით საქართველოდან სომხური წარმოშობის ცნობილი ფრანგი მომღერლის, კომპოზიტორისა და მსახიობის – შარლ აზნავურის 100 წლის იუბილე შეტანილია იუნესკოს ღირსშესანიშნავი ისტორიული მოვლენებისა თუ გამოჩენილი პირების იუბილეების 2024-2025 წ.წ. კალენდარში, იუნესკოს ფრანკოფონიის ელჩების ჯგუფის მხარდაჭერით, რომელსაც 80-ზე მეტი წევრი ჰყავს.**


არფი ალტო

თბილისში ორგანიზებული კონცერტის სოლისტი გახლდათ მომღერალი, კომპოზიტორი, მუსიკოსი და ჩანაწერის პროდიუსერი **არფი ალტო** (არფინე ტერ-პეტროსიანი).

არფი ალტო დაიბადა ერევანში 1990 წლის 30 სექტემბერს, ჯაზ-მუსიკოსი ანაჰიტ ტერ-პეტროსიანის და მხატვარ-მოქანდაკე მიქაელ ტერ-პეტროსიანის ოჯახში. საფორტეპიანო სპეციალობით უმაღლესი განათლება მიიღო ერევნის ხ. აბოვიანის სახელობის სომხურ სახელმწიფო პედაგოგიურ უნივერსიტეტში, მიენიჭა მაგისტრის ხარისხი.

გამოდიოდა სომხურ ვოკალურ ანსამბლში „გეღარდი“ და ერევნის ა.სპენდიარიანის სახელობის ოპერისა და ბალეტის ეროვნულ აკადემიურ თეატრის შემადგენლობაში.

როგორც სოლო არტისტი, ის პოპულარულია 2019 წლიდან – ტრადიციული სომხური ხალხური, ბოსა ნოვას კლასიკური სიმღერებისა და მსოფლიოში ცნობილი ჰიტების თავისი ქავერ ვერსიებით.

## რა ჰქვია მიწის სურნელებას?

**რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, არსებობს თურმე სიტყვები, რომლებიც ერთობ ჩვეულ საგნებს, მოქმედებებს თუ ჩვენგან დამოუკიდებელ გარკვეულ ქმედებებს აღნიშნავენ, მაგრამ რომელთა შესახებ არა თუ არაფერი ვიცით, დიდი ალბათობით, მათ შესახებ არც გვსმენია: აი, რამდენიმე მათგანი:**

**პეტრიკორი** – ესაა წვიმის შემდეგ მიწის სურნელება;

**ეგლეტი** – ზონარის ლითონის ან პლასტმასის წვერი, რომელიც მის მორგებას აადვილებს;

**ლუნულა** – ასე ეწოდება „ნახევარმთვარეს“ ფრჩხილის ფუძეში;

**ნატიფორმები** – ესენია ბუნებრივი წარმონაქმნები, ჩეულებრივი ხეები, კლდეები თუ ქვები, რომლებიც ქალურ ფორმებს მოგვაგონებენ;

**მონდეგრინი** – ასე ეწოდება სიმღერის ტექსტში გაურკვეველ სიტყვებს;

**ფოსფენები** – ესაა სინათლის ლაქები, რომლებსაც თქვენ თვალის გუგებზე თითების დაჭერის შემდეგ ხედავთ;

**კოლივუბლი** – შიმშილისგან მუცელი რომ გივლით იმას ჰქვია;

**პუნტი** – ასე ეწოდება ბოთლის ძირს;

**ლამნისკატა** – უსასრულობის ნიშანი გახლავთ;

**დისანია** – ეწოდება ფიზიკურ მდგომარეობას, როცა დილით ლოგინიდან ადგომა გიჭირთ;

**ინტერობანგი** – ეწოდება კითხვისა და ძახითი ნიშნის ერთად გამოყენებას;

**დეფენესტრაცია** კი ეწოდება ფანჯრიდან რაღაც საგნის გადაგდებას.

## მკვლელი თინეიჯერი

**ინგლისში 12 წლის მოზარდის მკვლელობის ფაქტზე ერთი ადამიანი დააკავეს**



ლეო როსი

არსებული ინფორმაციით, მოკლული მოზარდი 12 წლის ლეო როსია, რომელიც სამშაბათ შუადღეს სკოლიდან სახლში ბრუნდებოდა, როცა მუცლის არეში, ცივი იარაღით ჭრილობა მიაყენეს.

საქართველოს რესპუბლიკა
www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35);

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04),

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,**
**თემურ ქორიძე,**
**ოთარ ტურაბელიძე,**
**გია პლატონიშვილი,**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17),

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,**
**მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

დამკაბადონებლები
**გიორგი მახარაშვილი,**
**არჩილ სიხარულიძე.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი**

**მისამართი:**
თბილისი. აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
sak@sak.ge

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმობეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.

იბეჭდება სტამბა
**„კოლორში“**
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

UAC(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 616932

რეკლამისთვის დარეკეთ:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ნებისმიერი თანხა ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG0000000538329790

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 29 იანვარს**